პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და ხრ. საქ მ, გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, [illegible] № 4, მე 3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 4 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 234 ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 234

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ინგლისის ოფიციალურ წრეებში მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში კიდევ სახიფათოთ სთვლიან.
— ინგლისის მუშათა კავშირები მოითხოვენ კაბინეთის გადადგომას.
— ინდოეთში მღელვარება გრძელდება.
— ქემალი მიემგზავრება მუდანიაში.
— გარინგტონმა იზმიდ ფაშას გადასცა მოკავშირეთა შეთანხმების ტექსტი.

შეთანხმების ტექსტი ალიარებს ბერძნების მიერ ფრაკიის დაცლას და ახალ ნეიტრალურ ზონის დამყარებას.

„ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო"

ოქტომბრის რევოლუციის 5 წლის თავზე ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი სცემს ზემოთ ხსენებულ სათაურით კრებულს რომელშიც გაშუქებული იქნება ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა როგორც ჩვენში,—საქართველოს სინამდვილით, ისე მსოფლიო მასშტაბით, აგრეთვე მოთავსებული იქნება მოგონებები და მოთხრობები ოქტომბრის რევოლუციის პირდაპირ მონაწილეთაგან. ამიტომ ვთხოვთ რევოლუციის აქტიურ მონაწილე ამხანაგებს წარმოადგინონ თავიანთი მოგონება—მოთხრობები არა უგვიანეს ამ თვის 20 რიცხვისა.

მისამართი: **ს. კ. პ. ცენტრალ. კომიტეტის აგიტ პროპი ს. თალაკვაძესთან.**

ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება
სახალხო განათლების განყოფილების
სექციის სხდომა
(ქალაქის აღმასკომის შენობაში).
საკითხის მნიშვნელოვანობის გამო დასწრება სავალდებულოა.
(1—1) მდივანი: **ხუნდაძე**

გადაჭრილი მოქმედება

ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა გამოურკვეველია. არ შეიძლება ითქვას, თუ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. უკანასკნელი ცნობებით ხელმეორედ შეწყდა მუდანიის მოლაპარაკება, სადაც უნდა გამომუშავებულიყო დროებითი ზავის პირობები. მუდანიის თათბირის კრიზისი, როგორც ინგლისის მთავრობა ოფიციალურად იტყობინება, გამოიწვია ანგორის მთავრობის მუქარამ, რომ თუ ოსმალეთის ყველა მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული, მოკავშირეთა ჯარებზე შეტევას დავიწყებთო. ამასთან მოკავშირეთა წარმომადგენლებს არ აღმოაჩნდათ თავიანთი მთავრობებიდან ერთნაირი ინსტრუქციები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი შეერთებული გამოსვლა ანგორის დელეგაციის მოთხოვნათა საპასუხოდ. რომ მოკავშირეებს შორის, კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთ შორის დიდ წინააღმდეგობებს აქვს ადგილი, ეს ცნობილი ფაქტია. ეს ჩვენც ბევრჯერ აღგვინიშნავს. ამიტომაცაა, რომ ასე ხშირად იმართება თათბირები მათ შორის. ამიტომაცაა, რომ ასე ხშირად მოგზაურობს კერზონი პარიზში პუანკარეს სანახავად. წინედ, როცა საფრანგეთს უჭირდა, მაგალითად, გერმანიის საკითხში, თვით საფრანგეთის პრემიერი ძალაუნებურად იყო ლონდონის ხშირი სტუმარი, ეხლა კი როცა უმთავრესად ინგლისია ჩავარდნილი კრიტიკულ მდგომარეობაში, როლები შეიცვალა და დიდი ბრიტანიის მთავრობის წარმომადგენელი მიიჩქარის პარიზში სათათბიროდ.

ყველა ასეთი თათბირების შემდეგ წესად აქვთ მიღებული, რათა საჯაროდ გამოაცხადონ, რომ მიღწეულია „სრული შეთანხმება" ამა თუ იმ საკითხის გამო. ასეთი „შეთანხმების" შედეგი იყო ანტანტის კოლექტიური ნოტა ანგორის მთავრობისადმი. ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ამ ნოტის შინაარსს. ეხლაც, მუდანიის მოლაპარაკების ხელმეორედ შეწყვეტის შემდეგაც, ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიას შორის, როგორც დღევანდელი რადიო იუწყება, „მიღწეულია შეთანხმება ოსმალეთთან შემდეგი მოლაპარაკების საფუძვლების შესახებ". ეს შეთანხმება გულისხმობს ფრაკიის დაცლას ბერძნებისაგან და ნეიტრალურ ზონის დამყარებას. ფრაკია გადადის ოსმალეთის ხელში ერთი თვის შემდეგ ბერძნების მიერ მისი ევაკუაციის დროიდან. ოსმალებს ნება ეძლევათ ფრაკიის ოკუპაციისა სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. საზავო კონფერენციის მოწვევა გადაწყვეტილია 1 ნოემბერს. რაც შეეხება რუსეთი, უკრაინის და საქართველოს მონაწილეობის საკითხს კონფერენციაზე, ეს სახელმწიფოები არ იქნებიან მიწვეულნი სამშვიდობო კონფერენციაზე, ხოლო დაშვებული იქნებიან მეორე კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იქნება სპეციალურად სრუტეების საკითხის განსახილველად. ასეთია ოფიციალური შეთანხმება აღნიშნულ სახელმწიფოებისა.

მოკავშირეების, კერძოთ ინგლისის მთელი მოქმედებიდან ნათლად სჩანს, რომ მას სურს საქმის გაჭიანურება, რათა საკმაო ძალას მოუყაროს თავი, შექმნას თავისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა და შემდეგ უკარნახოს ანგორას თავისი პირობები. ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ინგლისის ჟურნალ „ეკონომისტ"-ში მოთავსებული წერილი. იქ სწერია: „ყოველი დღე შეთანხმების გადადებისა გააძლიერებს ჩვენი არმიის და ფლოტის მდგომარეობას; ჩვენი დროებითი საგრძნობი სისუსტე ნაციონალისტების ძალებთან შედარებით შეიცვლება, და ჩვენ არამც თუ გავუთანასწორდებით მათ, არამედ გადავაჭარბებთ კიდეც და, ამგვარად, მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როცა შევსძლებთ არამც თუ დავამყაროთ ჩვენთვის სასურველი რეჟიმი სრუტეებში (მიუხედავად იმისა, იქნება ეს სასურველი ოსმალეთისათვის), არამედ უარიც უთხრათ ოსმალეთს ფრაკიაზე და დაუტოვოთ ეს პროვინცია საბერძნეთს, თუ ეს საჭიროდ დავინახეთ. დრო მიმართულია ქემალისტების წინააღმდეგ, ხოლო სამხედრო საკითხებში რამოდენიმე დღეს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცეს. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კონფერენცია იქნება მოწვეული, სამხედრო სიტუაცია დარდანელში გადაჭრით შეიძლება შეიცვალოს ქემალ ფაშის საზიანოდ"...

ანგორის მთავრობისათვის, რა თქმა უნდა ინგლისის და საერთოდ ანტანტის ჭეშმარიტი განზრახვები საიდუმლოებას არ შეადგენს. ამიტომ ქემალი თავს უყრის ჯარებს და განაგრძობს მსვლელობას სტამბოლისკენ. ამ სამხედრო მოქმედების უშუალო მიზანი ის არის, რათა მოკავშირენი იძულებული გახდნენ ეხლავე, და არა სამშვიდობო კონფერენციის შემდეგ, დასცალონ ოსმალეთის ტერიტორია, რომელსაც თავისი ნამდვილი პატრონი დაეუფლება. ყველამ იცის მოკავშირეთა დაპირისპირების ფასი, ისინი მხოლოდ ძალის წინაშე იდრეკენ მუხლს, და რამდენადაც შესძლებს ქემალი მათთვის მაგარი მუშტის ჩვენებას, იმდენად მეტ „თავაზიანობას" გამოიჩენენ ისინი.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა პასუხს გასცემს ანგორა მოკავშირეთა წინადადებაზე. მაგრამ ერთი რამ ცხადია, სახელდობრ ის, რომ მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისცეს მოკავშირეთ შესაძლებლობა საქმის გაჭიანურების, დროის მოგების, მან ეხლავე მაქსიმალურ ფარგლებში უნდა გამოიყენოს ის სამხედრო უპირატესობა, რომელიც მან მოიპოვება. მდგომარეობა მოითხოვს უფრო გადაჭრილ მოქმედებას.

ჩვენი ლითონის მრეწველობა და მუშის სამუშაო ქირა

ს. მ. უ. საბჭოს ლითონის განყოფილება ყოველგვარ დიბრკოლებების გადალახვის შემდეგ შეუდგა ორმოცი წლის თუჯის ქარხნის „ჩათახის" ამუშავებას.

გაცხოველდა იქ მუშაობა ამხ. გ. კალანდაძის მეთაურობით და აგრეთვე ზოგიერთ ინჟინრების შემწეობით. იმედია, რომ ერთი დომნა (დასადნობი ღუმელი) იქნება გაშვებული ამ წლის დეკემბერში. ამ ხანად იქ მუშაობს ას კაცზე მეტი. მეორეს მხრივ, რომ თვალი გადავავლოთ ლითონის განყოფილების წარმოებათა დიაგრამას 1922 წ. იანვრიდან, ჩვენ აშკარად შევიტყობთ თუ რამდენათ არის აწეული წარმოება ჩვენში და რამდენ ენერგიას ხარჯავენ ჩვენი ამხანაგები, რომ ლითონის წარმოებამ მოიპოვოს სიმპატია ჩვენ ხელმძღვანელ ორგანიზაციებში და იმედია, რომ ს. მ. უ. საბჭო და მთავრობა ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ და დაწყებულ საქმეს კეთილად დააგვირგვინებენ.

ლითონის განყოფილებას აქვს ერთი შესამჩნევი ქარხანა „თბილისის თითბრის სატყვიე ქარხანა". მთელ რუსეთში იყო ოთხი ასეთი ქარხანა, რომელიც თითქმის ყოფნიდა მთელ რუსეთს; კერძოთ კი, ამიერ კავკასიას აუცილებლათ თბილისის ქარხანა. დღეს ის დგას აგერ რვა თვე იქნება. მიზეზი მანქანის გაფუჭებაა, რომელსაც ამ დღეებში გაუშვებენ.

ეს ქარხანა დიდ იმედებს გვაძლევს, და ლითონის განყოფილება ამის შემდეგ ფეხზე დადგება, თუ რა საკვირველია ჩვენი ორგანოები, რომელთაც მართებთ ლითონის განყოფილების ფულები, აუნაზღაურებენ ამ ფულებს. მაშინ კიდევ უფრო მოღონიერდება ის და წარმოებაც გაფართოვდება ხოლო ამით კი მუშების მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდება. მატერიალურის მხრივ მელითონენი ჩვენში ძალიან ცუდ პირობებში გვყავს ჩავარდნილი, მაგრამ იციან რა, რომ ისინი არიან მოწოდებულნი საბჭოთა აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად, მათ პირნათლად შეიგნეს თავიანთი მოვალეობა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და ენერგიულათ ეწევიან საერთო ჭაპანს, რათა სამეურნეო ფრონტზედაც მათ ხვდეთ წილათ პირველი გამარჯვება, როგორც ეს ჩვეულებათ ქონდათ გადაქცეული სამხედრო ფრონტზე რუსეთში ამ სამოქალაქო ომის დროს. უმთავრესად მე მინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება შემდეგ გარემოებას: მიუხედავად იმისა, რომ ლითონზე მომუშავეების პირობები აუტანელია, მუშებს მაინც არ უტყდებათ გული და შეჰყურებენ იმ დიად იდეალებს, რომლის გამომჭედნი თითონ არიან და მეორე მხრივ ითვალისწინებენ იმას, რომ მათზე აუტანელ მდგომარეობაში თავიანთი მოძმენიც არიან.

ლითონის წარმოება არის უპირველესი ხარისხოვანი საკითხი ყველა სახელმწიფოსთვის. როგორც ღერძი სახალხო მეურნეობის, რა თქმა უნდა, აქ ჩაბმულ მუშების მდგომარეობას უპირველესი ყურადღება უნდა ქონდეს მიქცეული, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ასე როდი ხდება ჩვენში.

მაგრამ, რომ შევადაროთ ჩვენი მდგომარეობა და რუსეთის მელითონეთა მდგომარეობა კოლექტიურ ხელშეკრულების მხრივ, ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვენში უფრო მეტი მუშები გვყავს ჩათრეული, ვიდრე იქ. მაგალ. სრულიად რუსეთის ც. კ. ანგარიშიდან ვტყობილობთ, რომ იქ 42 პროც. მუშებისა შედის ამ ხელშეკრულებაში, ჩვენში კი 88 პროც. რაიც, თავის თავათ ცხადია, მოწმობს იმას რომ ჩვენში უფრო კარგ მდგომარეობაში არიან მელითონე მუშები ვიდრე იქ.

მაგრამ ეს არ კმარა. კავშირის პრეზიდიუმის მოვალეობაა, რომ უფრო ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, როგორც მუშების მდგომარეობას ისევ წარმოებასაც. რადგან უნდა დაუახლოვდეთ იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მუშებისთვის. მაგალითად ომამდე ხელფასი მელითონესი საშუალოთ მე 9 კატეგორიისა იყო 60 მან. თვეში, ახლა კი 20, 25. ესე იგი 35 პროც. ნაკლები.

ასეთ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო და იმედია, რომ, როგორც კავშირების ხელმძღვანელები და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებიც დაეხმარებიან და გამოიყვანენ ამ მდგომარეობიდან ლითონის განყოფილებას და მის კავშირს რომ, ზედმეტი ენერგიის დახარჯვით შევძლოთ ავაყვავოთ ჩვენი წარმოება და მით შევუმსუბუქოთ მდგომარეობა მუშებსაც.

ბ. მაჩაიძე.

ცეკას საგ.-საპრ. განყოფილების საყურადღებოთ

პოლიტიკის საანბანო ცოდნის შესაძენათ საუკეთესო სახელმძღვანელოთ უნდა ჩაითვალოს კოვალენკოს „книжка политической грамоты". განსაკუთრებით ეს წიგნაკი დაუფასებელია სოფლებში სამაცადინოთ. მდაბიო, ყველასათვის გასაგები და მისახვედრი ენა, ნათელი და მარტივად გამოხატული და გამოთქმული აზრები და განმარტებანი, ხშირად ძალიან რთული და სერიოზულ საკითხების და ტერმინების.—ამავე დროს დალაგებით შედგენილი გეგმა შინაარსისა, რომლიც შედარებით საკმაო ფართოც არის—კაპიტალიზმი და მისი მოკლე ისტორია, კლასიური ბრძოლა, პოლიტიკური პარტიები, იმპერიალიზმი, კომუნიზმი, რევოლუცია, ინტერნაციონალის განვითარების მოკლე ისტორია, ახალი ეკონომიური პოლიტიკის მოკლეთ და ცოცხლად დახასიათება—ყოველივე ეს საკმაოდ ამართლებს ჩვენს შეხედულებას ამ წიგნაკზე, როგორც საუკეთესო სახელმძღვანელოზე პოლიტიკური ანბანის შესასწავლად.

ასეთია ეს წიგნი—დაწერილი ავტორის მიერ რუსულ ენაზე. ალბათ ასეთ შეხედულების იყო ჩვენი ცე-კას საგ საპრ განყოფილება, რომელსაც მას განუზრახია მისი ქართულად გამოცემა. განზრახვა **ვითომცდა** სისრულეში მოყვანილია. წიგნი ქართულად გამოუციათ და საკმაოთ დიდი ტირაჟით—ალბათ იმ მიზნით და მოსაზრებით, რომ მის შესწავლას ფართო ხასიათი მისცემოდა.—**მაგრამ ვაი ასეთ გამოცემას.**

წარმოუდგენელი თარგმანი—თითქოს ვინმეს **განგებ** განუზრახავს ამ წიგნაკის **დამახინჯება.**

წიგნი „ქართულად" არამც თუ კარგავს ყველა დადებით მხარეებს ორიგინალისა, არამედ წარმოადგენს რაღაც დაცინვას ქართულ ენაზე, წიგნაკის შინაარსზე და დაბოლოს თვით იმ ორგანიზაციაზედ, რომელსაც იგი გამოუცია—საგ. საპრ. განყოფილებაზე.

თარგმანში არ არის არც ერთი გვერდი, თითქმის არც ერთი წინადადებაც, რომელიც არ შეიცავდეს ან და სრულიად არ წარმოადგენდეს ორიგინალის შესაფერ ადგილის სრულ დამახინჯებას, დამახინჯებულ „ქართული ენით".

ორიოდე ნიმუში:

1) რა არის პოლიტიკური ბრძოლა? რუსულად: „В борьбе с отдельными капиталистами или их обiединениями, рабочие неизбежно сталкиваются с капиталистическим государством с его органами подавления и угнетения". (стр. 15) ქართულად: „კაპიტალისტებსა და მოკავშირეებთან შეტაკების დროს ჯაშუშებს მიუცილებლად ეღობებათ წინ კაპიტალისტური სახელმწიფო ყველა თავისი დაჩაგვრისა და ძალადობის ორგანოებით".

აბა გაიგეთ რას ნიშნავს ეს?

2. კაპიტალისტური საზოგადოების განმარტება: „ეწოდება ისეთ საზოგადოებას, რომელშიც უმთავრესი საშუალებანი და იარაღები შეადგენენ ცალკე პირთა ანუ მათი მცირე ჯგუფების **კერძო საკუთრება და საშუალებას** აძლევენ მესაკუთრეებს **ყვლიფონ დაქირავებულ მუშებს".** და სხვ. (გვერდი 6). აბა ვინ ახსნის რომელ ენაზე არის დაწერილი ეს წინადადება?

3. რუსულად „финансовый капитал" ქართულად „ფინანსიური კაპიტალიზმი".

4. რუსულად „предприятия" ქართულად „წამოწყებები".

5. სრულიად დამახინჯებულია ის თავი, რომელიც ეხება „იმპერიალიზმს". აქ „მთარგმნელი" თავისი ნებით ასეთ განმარტებას აძლევს იმპერიალიზმს:

„კაპიტალიზმი ხდება იმპერიალისტური, რაიც იმაში გამოიხატება, რომ შეიარაღებული ხელით სცდილობს თავის **მეტოქების კონკურენტების დამარცხების განადგურებას,** თავიდან მოცილებას, და მოჩილებას, და გიგანტიურის, განუყოფელად ბატონობის სახელმწიფოს—იმპერიის შექნას".

ამგვარი ყოვლად გაუგებარი აბდაუბდით „აქართულებს" მთარგმნელი კოვალენკოს შემდეგ წინადადებას:

„С развитием капиталистических монополии (трестов, синдикатов), с господством финансового капитала, капитализм становится империалистическим".

6. კიდევ ერთი ნიმუში:

რუსულად: „такое присваивание результатов труда рабочих называется эксплоатацией". ქართულად: „ასეთ მითვისებას მუშათა **შორის** შედეგისას ეწოდება ექსპლოატაცია".

ვიმეორებთ, რომ თითქმის ყველა გვერდი და წინადადება „თარგმანის" წარმოადგენს ასეთ დამახინჯებას. ქართული ენის შესახებ, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ან და უბრალო კორექტურის შესახებაც.

ერთი სიტყვით—რაღაც სამარცხვინო რამ, რომელიც სამარცხვინოა, არა მარტო იმით, რომ სრულიად ამახინჯებს მშვენივრად დაწერილ წიგნაკს, ამახინჯებს ქართულ ენას, არამედ იმითაც, რომ სახელს უტეხს იმ მეტად ავტორიტეტიან ორგანიზაციას, რომლის სახელით მოვლინებია ეს „თარგმანი" ქვეყნიერებას — ცეკას საგ. საპრ. განყოფილებას.

დასკვნა: კერძოთ **ეს თარგმანი მოსასპობია აუცილებლივ. წიგნაკი უნდა გადითარგმნოს და გამოიცეს ხელმეორეთ.**

საერთოდ კი: სჯობს ცოტა გამოვცეთ, თუ გინდ უსაჭიროესი წიგნებიც, ვიდრე ბევრი და ისე, როგორც ეს დამართია კოვალენკოს წიგნაკს.

ყოველივეს და მათ შორის მატერიალურ ზარალსაც თავი, რომ დავანებოთ: **სირცხვილია!**

გ. ბახტიარი.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ინგლისის წრეებში.

ნაუენი. 11 ოქტომბერი. ლონდონის ოფიციალურ წრეებში მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში სერიოზულად მიაჩნიათ, ძალიან კრიტიკული დღე იყო სამშაბათი.

გამარჯვების გამო

ნაუენი. 11 ოქტომბერი გაზ. „მანჩესტერ გარდიენი" ურჩევს ინგლისის მთავრობამ დაუახლოვდეს ოსმალეთს, რადგან იგი ბრუნდება უკან ევროპის სახელმწიფოთა წრეში.

ლოიდ ჯორჯის მოხსენება.

ბორდო 11 ოქტომბერი ოფიციალური წყაროებიდან იტყობინებიან, რომ შაბათს ლოიდ ჯორჯი წაიკითხავს მანჩესტერში მოხსენებას თავის პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთის საკითხში.

მოლაპარაკება.

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას შორის მიღწეულია შეთანხმება ოსმალეთთან მომავალ მოლაპარაკების ბაზის შესახებ. ოსმალური ოლქები გადავა ოსმალეთის ჟანდარმერიის ხელში, მათი ბერძნების მიერ ევაკუაციის ერთი თვის შემდეგ. ოსმალების მიერ ფრაკიის ოკუპაცია ნება დართულია საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. საზავო კონფერენცია გადაწყვეტილია მოწვეულ იქნეს 1 ნოემბერს.

რუსეთის, უკრაინის და საქართველოს კონფერენციაზე დაშვების შესახებ შეტანილია წინადადება, რომლის თანახმად ეს სახელმწიფოები არ იქნებიან დაშვებული საზავო კონფერენციაზე და მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მეორე კონფერენციაში, რომელიც გაიმართება სპეციალურად სრუტეების საკითხის შესახებ.

ფრაკია.

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. ინგლისის გაზეთები უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ კერზონის პარიზში გამგზავრებას. შესაძლებელია, რომ მდგომარეობიდან თავის დახწევის საშუალებად გამოდგება საფრანგეთის წინადადება ფრაკის ფრანგების მიერ დაუყოვნებლივ ევაკუაციის შესახებ.

პრესა აღნიშნავს ოსმალეთის მოთხოვნილებათა მიუღებლობას ფრაკიის საკითხის შესახებ.

ლონდონის პრესას განსაკუთრებით აღელვებს ბერძნების პოზიცია, რომლებიც კატეგორიულ უარს აცხადებენ ფრაკიიდან თავის ჯარების გაყვანაზე.

მუდანიის კონფერენცია

გენ გარინგტონის ნებართვა.

ნაუენი. 11 ოქტომბერი გენ. გარინგტონმა მიანდო ინგლისის ცენზორს ნება დართოს ჟურნალისტებს მუდანიაში გასამგზავრებლად. გენ. გარინგტონის ნებართვით დაუყონებლივ ისარგებლეს ამერიკის კორესპონდენტებმა.

ბუიონის გამგზავრება.

ნაუ[illegible] ოქტომბერი. გაზ. [illegible] ცნობით ფრანკლინ-ბუ[illegible] მგზავრება კონსტანტინოპოლიდან პარიზში.

ახალი ხელშეკრულება.

ბორდო. 11 ოქტომბერი. გენ. გარინგტონმა აცნობა ისმეტ-ფაშას იმ ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც შეიმუშავა გენ შარპის და მონ-მედლის თანდასწრებით. ხელშეკრულება გულისხმობს ფრაკიის ოსმალეთისათვის გადაცემის შემდეგ პირობებში: ნეიტრალური ზონა უნდა დაიწიდეს შერეულ კომისიის მიერ. უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ჯარების უშიშროება და სრუტეების თავისუფლება.

შეთანხმების მუხლები.

პარიზი. 11 ოქტომ. ის შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს მუდანიაში, შეიცავს 14 მუხლს. შეთანხმების თანახმად მცირე ანტანტამ უნდა გამოჰყონ 8 ბატალიონი, რომელიც დაიცავს წესრიგს ფრაკიაში და რომელიც გაყვანილი იქნება 30 დღის შემდეგ. ეს 8 და შემცირებული იქნება საბერძნეთის მიერ ფრაკიის ევაკუაციის შემდეგ. შეთანხმება აწესებს ნეიტრალურ ზონის საზღვრებს, რომელიც ანგორამ არ უნდა გადალახოს და რომელიც დაწესებული იქნება შერეულ კომისიის მიერ. შეთანხმება შედის ძალაში ხელმოწერის დღიდან 3 დღის გასვლის შემდეგ.

ქემალ ფაშას ჩასვლა მუდანიაში.

ბორდო 11 ოქტომბერი ქემალ-ფაშა მიემგზავრება მუდანიაში.

შეთანხმების ნიშნები.

პარიზი. 11 ოქტომბერი. მუდანიის თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოკავშირეთა გენერლები მუშაობდენ ოსმალეთთან სრული შეთანხმებით.

შეთანხმების ხელისმოწერა.

ბორდო. 11 ოქტომბერი. კონსტანტინოპოლში მუდანიის კონფერენციის შედეგებს ოპტიმისტურად უყურებენ. შეთანხმებას ხელის მოწერას მოელიან 17 საათზე.

შეთანხმების ტექსტის გადაცემა.

პარიზი. 11 ოქტომბერი. გუშინ საღამოთი გენ. გარინგტონმა გადასცა შეთანხმების ტექსტი იზმიდ ფაშას, იზმიდ ფაშას თხოვნით კონფერენცია შეწყვეტილ იქნა, რათა მას შეძლება ექნეს მოელაპარაკოს ანგორის მთავრობას. გენ. გარინგტონი გემ „პირონ-დოუკიო" დაბრუნდა კონსტანტინოპოლში. გადაწყდა, რომ ის დაბრუნდება მუდანიაში დღეს და რომ კონფერენცია განახლდება დღესვე ანგორის მთავრობისაგან პასუხის მიღების შემდეგ, როდესაც გენ. გარინგტონი აძლევდა შეთანხმების ტექსტს იზმიდ ფაშას, მან წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან აღნიშნა, რომ ოსმალეთი განახორციელებს თავის ეროვნულ ზრახვებს სისხლის დაუღვრელად და ამასთანავე დააკისრა მთელი პასუხისმგებლობა ოსმალეთს თუ ისინი უარყოფენ მოკავშირეთა წინადადებას.

იზმიდ ფაშამ უპასუხა, რომ ის აცნობებს შეთანხმების ტექსტს თავის მთავრობას, რომელიც აღტკინებულია მშვიდობიანობის სურვილით.

შეთანხმების ტექსტი გადაეცა ანგორის მთავრობას.

პრონდონი. 11 ოქტომ. შეთანხმება, რომელიც წარედგინა ოსმალეთის დელეგატებს ხელისმოწერისათვის, შეიცავს 14 მუხლს. იგი გულისხმობს საბერძნეთის მიერ ფრაკიის ევაკუაციას და ნეიტრალურ ზონის დაწესებას, შეთანხმების ტექსტი გადაეცა იზმიდ-ფაშას მიერ ანგორის მთავრობას. კონფერენციის შეწყვეტის წინ, გენ. გარინგტონმა განუცხადა ოსმალეთის წარმომადგენლებს, რომ ინგლისის განკარგულებაში არის გემების, ზარბაზნების და ცხენების დიდი რაოდენობა. დასკვნაში მან განაცხადა: „გახსოვდეთ რომ ჩხუბში ჩვენ ძალიან სასტიკნი ვართო".

ჟურნალ-გაზეთებიდან

ხარჯები ცხოვრებისათვის შთრ. ამერ. შეერთებულ შტატებში

შეერთებულ შტატებში უკანასკნელ დროს ყველა საკვებ პროდუქტებზე და სხვა მოსახმარ ნივთებზე ფასების თითქმის შეუჩერებელი დაცემის შემდეგ ხელახლა ძვირდება ცხოვრება. 1920 წ. სიძვირემ მიაღწია მაქსიმუმს, რომელიც გამოიხატებოდა ინდექსით 204,5 (ნორმალურ ინდექსათ მიღებულია 100). მას შემდეგ ეს ციფრი დაეცა 154,7-მდე მიმდინარე წლის მარტში. საშუალო გაძვირება 1914 წ. ივლისთან შედარებით შეადგენდა გასულ აგვისტოში 55,6 პროც., მასთან გაძვირება ცხოვრების ხარჯის ცალკე დარგებისთვის გამოიხატება შემდეგნაირათ: საკვები პროდუქტებისათვის 48 პროც., ბინის—69 პროც., ტანთსაცმელის—64 პროც. და განათებისა და გათბობის—79 პროც. როგორც სჩანს სტატისტიკური ცნობებიდან, სიძვირისაგან ყველაზე უფრო მეტად დაზარალდა, სულ ყველა სხვა სახელმწიფოებში, საშუალო კლასი, რომელიც შესდგება ჩინოვნიკებისა, კერძო მოსამსახურეთა, მასწავლებელთა და თავისუფალი პროფესიის სხვა პირებისაგან,

— **პურის მსოფლიო ბაზარი.** არა თუ გერმანიაში და საფრანგეთში არ გამართლა მოსავალმა თავისი მოლოდინი, არამედ იუგო-სლავიაშიაც, როგორც უკვე საკმარისად გამოირკვა, სერიოზულ მოუსავლობის ფაქტის წინაშე ვდგევართ, ეს სამწუხარო შედეგი ნაყოფი შეიქნა კარგი ხანია არ ყოფილ მოუსავლობის, იმ დროს, როდესაც მის მეზობელ რუმინეთში მიმდინარე წლის კლიმატიური პირობები იმდენათ ხელსაყრელი იყო, რომ კარგი მოსავლიანობის წყალობით იქ წარმოიებს მეტად გაცხოველებული პურის ექსპორტის კამპანია.

წინააღმდეგ ევროპისა თითქმის ყველა ქვეყნებში პურის მოსავალი ზოგ ადგილას დამაკმაყოფილებელია, ზოგან კარგი და დაბოლოს ეგერ ეგერ საუცხოვოც, განსაკუთრებით საუცხოვოა მოსავალი კანადაში. და კერძოდ და ოფიციალური წყაროებიც ადასტურებენ ამას.

რაც შეეხება ავსტრალიას, იქ ძალიან დიდი გვალვებია, იმ დროს როდესაც ინდოეთში წვიმები ძალიან დიდ ნოყიერ გავლენას ახდენენ დათესილ მინდვრებზე.

— **სხვა და სხვა სახელმწიფოთა ხარჯები შეიარაღებისთვის.** ხალხთა ლიგამ მიიღო ჟენევაში პასუხები თითქმის ყველა სახელმწიფოთაგან, რომლებიც შედიან მის შემადგენლობაში, შესახებ ხარჯების სიდიდისა არმიის შესანახათ და სხვა სამხედრო ხარჯები. ეს შეკითხვა, როგორც იცით, გადაბმულია ხალხთა ლიგის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ გაზარდონ შემდეგ სამხედრო ხარჯები, მანამ, სანამ არ გახდება შესაძლებელი საერთო განიარაღების ცხოვრებაში გატარება. მიღებულ პასუხებიდან სჩანს, რომ სამხედრო ბიუჯეტები 1913 წლიწადისაგან გაიზარდა თანახმათ ცალკე ქვეყნების ბიუჯეტებთან 1922 წ. შემდეგნაირათ:

	პროცენტები
ინგლისში	19,2
ავსტრიაში	17,4
ბრიტანეთის ინდოეთში	14,2
დანიაში	33,3
იტალიაში	46,1
კანადაში	17,6
ესპანეთში	38,3
ნორვეგიაში	39,0
ბრაზილიაში	45,3
ბელგიაში	82,1
ჰოლანდიაში	48,2
პორტუგალიაში	7,2
ახალ ზელანდიაში	148,3
რუმინეთში	23,1
საფრანგეთში	7,9
შვეციაში	20,1
შვეიცარიაში	14,3
სამხრეთ აფრიკაში	25,0

განსაკუთრებით გვხვდება თვალში სამხედრო ხარჯების კოლოსალური ზრდა ახალ ზელანდიაში, მთელი დედამიწის ამ წყნარ კუთხეში, რომელიც თითქოს და ყველას წარმოდგენილი ქონდა, როგორც წყნარი მყუდრო სამოთხე.

წითელ რადიოგრამებში

რუსეთი

ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავი.

მოსკოვი. 10 ოქტ. ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე სიმფეროპოლის რკინის გზელების მიერ გამოშვებული იქნება რემონტიდან „წითელი ორთქლმავალი“.

— ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის საპატივცემლოთ იაროსლავში და როსტოვში ყველა სახელმწიფო წარმოებებს, ფაბრიკებს და [illegible] მიეცემათ რევოლიუციონური სახელწოდება.

ფეიქრების ყრილობაზე.

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. ფეიქრების ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტროცკიმ, რომელმაც დაახასიათა საერთაშორისო მდგომარეობა. ამხ. ტროცკიმ აღნიშნა, რომ გენუაში განიარაღებაზე უარის თქმის შემდეგ ჩვენ გავაკეთეთ სათანადო დასკვნა,—შეგვენარჩუნებია არმია. ჯარში გაწვეულთა მობილიზაცია წარმოებით მიმდინარეობს. ცხადდებიან ყველანი, განწყობილება საუკეთესოა.

შეეხო რა ფლოტის მანევრებს, ამხ. ტროცკიმ აღნიშნა, რომ მთელი ევროპა და მთელი ქვეყანა ლაპარაკობს ჩვენი ფლოტის აღორძინების შესახებ.

— მომხსენებელმა საფეიქრო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ განაცხადა, რომ საფეიქრო წარმოების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შემდეგ ნაყოფიერება გაიზარდა. 1922 წ. პირველ ნახევარში დამუშავებულია 1.700.000 ფუთი ქსოვილი 1.100.000 ფ. წინააღმდეგ, რომელიც დამზადებული იყო წინა წლებში. [illegible] ქსოვილი იმავე ნახევარში დამზადებულია სულ 226 მილ. არშინი, ე. ი. 8 პროცენტით მეტი შარშანდელზე. ბამბის მრეწველობის ზოგიერთმა წარმოებებმა მიაღწიეს მშვიდობიან დროის დამუშავებას. სათბობი მასალათა კრიზისი შემცირდა. დიდი ნაკლულევანებაა ნედლ-მასალაში.

ანტი სარწმუნოებრივი დემონსტრაცია.

მოსკოვი. 10 ოქტ. ებრაელთა დღესასწაულის დღეს, ებრაელთა მუშა ახალგაზრდობამ გამართა ანტი-სარწმუნოებრივი დემონსტრაცია, სინაგოგის წინ. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 2,000 მუშა. ებრაელ მუშებისათვის გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელიც გადაიქცა დიდ მიტინგად.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი, 11 ოქტ. დაიწყო მოქმედება პეკოვის მექანიკურმა ქარხანამ, რომელიც 8 წლის განმავლობაში არ მუშაობდა.

მარინის სისტემა.

მოსკოვი, 11 ოქტ. ჩრდილოეთის ქარხანა შეუდგა მარინის სისტემის სასწრაფო რემონტს.

რუსეთის ორთქლმავალი.

მოსკოვი, 11 ოქტ. რუსეთის წარმოების ორთქლმავლების შემოწმებამ დაამტკიცა, რომ ისინი ხარისხით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე გერმანიიდან მოსული ლაკომობილები.

საგუბერნიო პროფესიონალურ განათლების განყოფილებათა გამგეების ყრილობა.

მოსკოვი. 10 ოქტომბერი. დამთავრდა საგუბერნიო პროფესიონალურ განათლების განყოფილებათა გამგეების ყრილობა.

ყრილობამ აღნიშნა პროფესიონალურ განათლების მთავარ განყოფილების მუშაობის საგრძნობლად შესუსტება და აღიარა აუცილებლად პროფ-ტეხნიკურ სასწავლებლების ერთიანი ქსელის დამყარება, და აგრეთვე ფასების შემოღება მუშების პროფ-ტეხნიკური გახათლებისათვის.

საგუბერნიო ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეობის ყრილობა.

მოსკოვი. საგუბერნიო ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეების სრულიად რუსეთის ყრილობა გადაიდო 4 დეკემბრისათვის.

მისალმებანი ამხ. ლენინისადმი

მოსკოვი. 10 ოქტომ. ამხ. ლენინის სახელზე კვლავ მოდის მისალმებანი. მიღებულია მისალმების დეპეშები კიევის გუბერნიის, ჩერნობილის მაზრის 1901 ჯარში გასაწვევი ახალგაზრდებიდან, პერემიშლის მე 13-ე პარტკონფერენციიდან, ქალაქის ცენტრალურ აღმასკომის მე 3 ე სესიიდან, წითელ მოსწავლე ახალგაზრდობიდან, ოდესის წითელ პროფესურიდან, ორენბურგის საბჭოთა მე-5 ე ყრილობიდან და სხვ...

საბჭოთა მართლმსაჯულება

მოსკოვი. 10 ოქტომ. „უკტერგის“ ერთ ერთ დირექტორს მელტინსკის და კერძო შუამავალს ზახმუტსკის რევტრიბუნალმა მიუსაჯა დახვრეტა, რომელთაც ბრალად ედებათ ყალბი ხელშეკრულების დადება პირადი ინტერესისათვის სახელმწიფო დაწესებულების სახელით. მესამე მონაწილეს ამ ქურდული ოპერაციისა ჩერების, რომელიც გამოსულია პროლეტარულ ოჯახიდან, მიუსაჯეს 5 წლის სავალდებულო სამუშაო. გასამართლებულების ქონებას უყვეს კონფისკაცია.

— ამ დღეებში მოსკოვის სახალხო სასამართლოში გაირჩევა მოსკოვის შრომის ბირჟის ზოგიერთი პასუხისმგებელ თანამშრომლების საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ მექრთამეობაში. სასამართლოშია მიცემული აგრეთვე ზოგიერთი ნეპმანები შურისძიებისათვის.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტების მუშაკთა კონფერენციაზე.

მოსკოვი, 10 ოქტ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტების მუშაკთა კონფერენციაზე კამენევმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ სოციალური უზრუნველყოფის, შრომის სახალხო კომისარიატის და ბავშვთა კომისიის ორგანოებმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა უცხოეთიდან მიიღო დამშეულთათვის სულ 33 მილ. ფუთი პური. ამერიკის მენონიტებს სურთ შემოიტანონ რუსეთში 600 ტრაქტორები.

მოსკოვი. 10 ოქტ. 9 ოქტომბერს დახურულ იქნა სრულიად კარელიის საბჭოთა ყრილობა. აღმასკომში არჩეული იქნენ 25 კომუნისტი და ორი უპარტიო.

სევასტოპოლის ნავთსადგური

მოსკოვი. 10 ოქტ. შეუდგნენ სევასტოპოლის ნავთსადგურის კაპიტალურ შეკეთებას. მუშაობისათვის გადადებულია 184,000 მან. ოქროთი.

ვაჭრობა დანიასთან

მოსკოვი. 10 ოქტ. პეტროგრადში დაიწყო მოლაპარაკება დანიის კომერსანტებთან რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ. მოეწყობა რუსეთ-დანიის შერეული სავაჭრო საზოგადოება.

ბალტიის ფლოტის მანევრები

მოსკოვი. 10 ოქტ. საზღვაო ძალების მთავარ-სარდალმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბალტიის ფლოტის მანევრების მეორე ნაწილი ჩატარებულია ღია ზღვაზე, რაც დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს სამხედრო-საზღვაო საქმის განვითარებაში. მანევრების განმავლობაში ავარიის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. მანევრების გეგმა ზედმიწევნით იქნა შესრულებული. მანქანების მუშაობამ მოლოდინს გადააჭარბა. მეზღვაურნი კარგად მომზადებულნი არიან.

რუსეთის ფლოტი

ნაუენი. 11 ოქტ. რუსეთის ფლოტი ინახულებს რეველს, რიგას და სხვა ნავთსადგურებს, რათა ამით დაამტკიცოს რუსეთის კეთილი განწყობილება მეზობლებისადმი.

ბრძოლა მექრთამეობასთან.

მოსკოვი. 11 ოქტ. სრულიად რუსეთის ც. აღ. კომიტეტის პრეზიდიუმმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დასჯილ იქნენ მექრთამეობაში შემჩნეული პირნი ერთი წლის დაპატიმრებით. განსაკუთრებულ მძიმე შემთხვევებში ხმარებული იქნება დახვრეტა.

— მექრთამეობასთან [illegible] სამეულმა აღმოაჩინა დიდი [illegible]ზაცია სადგურის უფროსის მეთაურობით, რომელიც ეწეოდა კონტრაბანდულ ვაჭრობას.

— ყირიმში სწარმოებს ენერგიული ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. შეიპყრეს მატარებლის ბრიგადები, რომელნიც შემჩნეული არიან მექრთამეობაში. რკინის გზელთა მრავალრიცხოვან კრებებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომელშიც მოითხოვენ მექრთამეების სასტიკად დასჯას.

სომხეთი

სოფლის მეურნეობის აღწერა. ერევანი. 10 ოქტ. დარალაგის მაზრაში სოფლის მეურნეობის აღწერა დამთავრდა, ალექსანდროპოლის მაზრაში სამუშაოს 50 პროც. შესრულებულია. დანარჩენ მაზრებში სამუშაოს შესრულების რაოდენობა 30-დან 90 პროცენტამდე აღწევს.

უნივერსიტეტში მომუშავეთა ტარიფები. ერევანი. 10 ოქტ. სატარიფო ეკონომიური განყოფილება იმუშავებს ტარიფს უნივერსიტეტის ლექტორებისათვის. ლექციის 1 საათში განზრახულია 6 მილ. მანეთი სომხური ფულის ნიშნებით. ლექტორებს მიეცემათ ჯამაგირი 150 მილ. მან. სომხური ფულის ნიშნებით, დეკანებს—100 მილ. მანეთი, რექტორებს და პასუხის მგებელ მომუშავეებს—17 კატეგორიის მიხედვით. შემუშავებული პროექტი წარდგენილ იქნება სატარიფო საბჭოს დასამტკიცებლად.

ხორბლეული ყუბანიდან. ერევანი. 10 ოქტ. ბათომში მიღებულია 10,000 ფუთი ხორბლეული ყუბანიდან. ხორბლეული განაწილდება სახელმწიფო ბანკის სასოფლო მეურნეობის განყოფილებათა მიერ გაზაფხულის სათეს კამპანიისათვის.

სასოფლო მეურნეობის კრედიტი. ერევანი, 10 ოქტომბერი სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელთა, ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილის და მიწად მოქმედების სახ. კომისარის რწმუნებულთა თათბირმა გამოიმუშავა ინსტრუქცია სასოფლო-მეურნეობის კრედიტის გახსნის შესახებ. სახელმწიფო ბანკი გაიღებს კრედიტს ფულით, პროდუქტებით, მარცვლეულით, მანქანებით, საქონლით. კრედიტი მიეცემათ სოფლის საზოგადოებათ, სახელმწიფო დაწესებულებებს, კომუნებს, კავშირებს, არტელებს, კერძო ორგანიზაციებს და დაზარალებულ მეურნეობას. ამ მიზნით არჩეულია სამეული ფინანსთა სახ. კომისარიატის, სახელმწიფო ბანკის და მიწად მოქმედების სახ. კომისარიატის, წარმომადგენელთაგან. მაზრებში და სოფლის საზოგადოებებში აგრეთვე შედგენილ იქნება სამეულები, რომელნიც შეასრულებენ ცენტრის განკარგულებებს.

სხვა და სხვა ამბები

გერმანია

გერმანიის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტები.

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. გერმანიაში ვრცელდება **ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების მოძრაობა.** წამოაყენეს მოთხოვნილება ფაბრიკა-ქარხნების საერთო გერმანიის კონგრესის მოწვევის შესახებ.

ტიმოფეევის შეცვლა.

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის აღმასკომმა მიმართა ესდეკების პარტიის პრეზიდენტს თხოვნით, მიიღოს ზომები კომინტერნის წინადადების განხორციელებისათვის, რათა ტიმოფეევი შეიცვალოს გელცით.

შეტაკება ლიუსენდორფში.

ჰანოვერი. 10 ოქტ. ლიუსენდორფიდან გვატყობინებენ, რომ ბელგიის ნაწილებთან მოხდა ახალი შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულია გერმანელი გიმნასტი. შეტაკება მოხდა ობერკასელშიც.

სიძვირის წინააღმდეგ.

ბერლინი. გაზ. „როტე ფანეს“ ცნობით ბრიუნში გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია სიძვირის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში ღებულობდა მონაწილეობას ყველა პარტიის მუშები.

საფრანგეთი

საფრანგეთის მემაღაროეები.

მოსკოვი. 11 ოქტომ. **საფრანგეთის ჩრდილოეთის ოლქების მემაღაროეები ემზადებიან 8 საათის სამუშაო დღის გაუქმების და სამუშაო ქირის შემცირების საწინააღმდეგო ბრძოლისათვის** მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს მომხდარი გაერთიანება მემაღაროეთა სხვა და სხვა ორგანიზაციების შორის, ბრძოლის შეერთებული ძალებით წარმოების მიზნით.

გაფიცვა მარსელში.

ჰანოვერი. 10 ოქტომბერი. მარსელის ნახშირზე მომუშავეებმა გადასწყვიტეს შეუერთდენ გაფიცულ მეზღვაურებს.

საფრანგეთის წრეებში.

ბორდო. 11 ოქტ. კაბინეტის სხდომაზე, რომელიც გაიმართა ელისეს სასახლეში მილიერანის თავმჯდომარეობით, პუანკარემ გააკეთა მოხსენება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ.

მარსელის მუშების გაფიცვა.

ნაუენი. 11 ოქტომბერი. ნახშირის დამტვირთველებმა გამოაცხადეს გაფიცვები მეზღვაურებისათვის მორალური დახმარების აღმოსაჩენად.

გაფიცვები მარსელში.

ბორდო, 10 ოქტომბერი ზღვის ნაპირზე მუშაობა სრულებით შეწყვეტილია; დოკის მუშები, დამტვირთველები და საქონლის დამტარებელნი არ მუშაობენ.

ინგლისი

ინგლისის მუშათა მოთხოვნილება.

ჰანოვერი. 14 ინგლისის მუშათა კავშირები და „მუშათა პარტია“ გამოშვებულ მანიფესტში მოითხოვენ კაბინეტის დაუყოვნებელ გადადგომას და ახალ არჩევნებს.

ლოიდ ჯორჯის პასუხი.

ნაუენი. 11 ოქტ. მუშათა კავშირების და „მუშათა პარტიის“ საპასუხოდ კაბინეტის გადადგომის შესახებ, ლოიდ-ჯორჯმა გამოაქვეყნა საიდუმლო თათბირი „მუშათა პარტიის“ დელეგატებთან, რომელიც მოხდა 21 სექტემბერს. ამ თათბირზე დადგენილი იყო, რომ მთავრობის და მუშათა პარტიის შეხედულებანი ერთმანეროს ეთანხმებიან, ვინაიდან მთავრობის ერთად ერთ მიზანს შეადგენს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დაცვა და სრუტეების ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ გადაცემა. ლოიდ ჯორჯი აცხადებს, რომ მთავრობა არ უწევდა დახმარებას საბერძნეთს ოსმალეთთან ომის დროს. ლოიდ-ჯორჯს განზრახული აქვს თემთა პალატაში დაიცვას თავისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის საკითხში.

გაფიცვების მოლოდინში.

ჰანოვერი. 10 ოქტომბერი. ინგლისის სამთამადნო მუშებთან უნაყოფო მოლაპარაკების გამო გაფიცვების საშიშროება იზრდება. ლონდონის პრესის აზრით ინგლისის ნახშირის მრეწველობა დიდი კრიზისის წინაშე სდგას.

იტალია

„როტე ფანე“ ფაშისტების შესახებ.

ბერლინი. „როტეფანე“ უკეთებს რა ანალიზს ფაშისტების მოძრაობას იტალიაში, ამბობს: „მთელს ევროპის პროლეტარიატს კარგად უნდა ახსოვდეს იტალიაში მომხდარ ამბების გაკვეთილი. არ არის საჭირო არავითარი „ბოლშევიკური გაშუქება“ საკითხისა, რომ გამოვიტანოთ დასკვნა ამ ამბების შესახებ. იტალია ამ ჟამად იმყოფება შეიარაღებულ ფაშისტების ბანდების დიქტატურის გავლენის ქვეშ და ფაშიზმის ამ უჩვეულო ზრდას ხელი შეუწყო სოციალ დემოკრატიამ.

იყო აქ შეგნებული ღალატი თუ „შემცდარი ტაქტიკა“? ჩვენ უფრო ადვილად ვამჩნევთ აშკარა. შეგნებულ ღალატს პროლეტარიატისადმი: ნუთუ უნარის უქონლობა, გაუბედაობა და შემცდარი შეფასება არ წარმოადგენს ნამდვილ ღალატს? გაზეთს მოჰყავს რამოდენიმე შემთხვევები, როცა სოციალ დემოკრატია ხელს უწყობდა ბურჟუაზიას, რითაც საშუალება მიეცა ფაშიზმს გამოსულიყო ძლიერი ორგანიზაციული ძალის სახით.

სოციალ-დემოკრატიამ გამოიყენა მეთოდები, რომლებიც წამოაყენა ამსტერდამის მუშათა სტრატეგებმა, ესე იგი აიძულა მუშები, დალუპულიყვნენ ცალცალკე სისხლისმღვრელ შეტაკებაში და თვით ამ შემთხვევებშიდაც მახვილს სცემდა ზურგის უკან სხვა და სხვა გვარ შეთანხმებების სახით. მასების გავლენით კაბინეტი ეცემა, მაგრამ ბურჟუაზია კვლავ ცდილობს მის ფეხზე წამოყენებას, ხოლო სოციალ-დემოკრატია სრული კმაყოფილებით ღებულობს კაბინეტის დეკლარაციას, რადგანაც იცის, რომ შეიარაღებული კონტრ-რევოლიუცია ისარგებლებს ყოველგვარი უპირატესობით პროლეტარიატის საწინააღმდეგოდ. გაზეთი აფრთხილებს გერმანიის პროლეტარიატს, ვინაიდან გერმანია ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება და შეიარაღებული კონტრ-რევოლიუცია მხოლოდ მოხერხებულ მომენტს უცდის რათა ლეგალურად ჩაიგდოს ძალა უფლება ხელში.

პროლეტარიატმა უნდა გამოიყენოს გარდამავალი ხანა და არ მისცეს კონტრ-რევოლიუციას თავის აწევის საშუალება, ხოლო ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატი არ დაერიდება ბრძოლას. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანიის პროლეტარიატი იხილავს იტალიის მუშების ეხლანდელ მდგომარეობაში თავის უახლოეს მომავალს.

ფაშისტების მოძრაობა.

ჰანოვერი, 10 ოქტ. ფაშისტების ტერორი ფართოვდება სამხრეთ ტი-

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის მე-2 სესია

(სხდომა მეოთხე*)

ბორჯომის რაიონის ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად გამოყოფის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხანაგი სტურუა.

გ. სტურუა. ამხანაგებო, იმ კომისიამ, რომელიც სესიის პლენუმმა აირჩია შვიდი კაცისაგან მ. ორახელაშვილის თავმჯდომარეობით და რომელსაც დავალებული ჰქონდა გაერჩია საკითხი ზესტაფონიდან შორაპნის სამაზრო ცენტრის ჭიათურაში გადატანისა და ბორჯომის ხეობის ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად გამოყოფის შესახებ, უკვე დაასრულა თავისი მუშაობა. პირველი საკითხი თქვენ უკვე გუშინ მოისმინეთ; გუშინვე საღამოთი კომისიამ იქონია სხდომა ბორჯომის შესახებ. რომ უფრო დალაგებით და ნათლად გამოვარკვია ეს საკითხი, ჩვენ მოვიწვიეთ დაინტერესებული პირები, ე. ი. სახალხო კომისარიატების წარმომადგენლნი: მიწადმოქმედებისა, ჯანმრთელობისა, შინაგან საქმეთა და უმაღლეს სამეურნეო საბჭოსი. უნდა ვსთქვათ, რომ ბორჯომის საკითხში დიდი ენერგია დაუხარჯავს დასახელებულ კომისარიატებს. შედგენილია რუქები, დიაგრამები, მრავალი რეზოლიუციებია გამოტანილი და მრავალი შეხედულებაა გამოთქმული— ისტორიული, გეოგრაფიული, გეომეტრიული და სხვ. ამის შესახებ გამოითქვა სხვა და სხვა აზრი. ზოგმა სთქვა, რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ წინანდელი გამოცდილებით და საქმე დავაყენოთ ისე, როგორც დაყენებული იყო ჩრდილო-კავკასიის მინერალური წყლების სამართველოს მიერ. ზოგი ღებულობდა მხედველობაში თვითონ ბორჯომის განსაკუთრებულ მდგომარეობას, ამბობდენ, რომ ბორჯომის გორის მაზრასთან კავშირი მხოლოდ ფიქციას წარმოადგენსო. სინამდვილეში კი ბორჯომი ეკუთვნოდა თვითმპყრობელობის მემკვიდრეთ, ხან მთავარ-მართებელს და ხან დიდ მთავარ-მართებელს მთავარ მიხეილს, ხოლო გლეხები ბორჯომის მახლობლადაც ვერ გაივლიდენ, რაკი იქ ხელმწიფის გვარეულობა სცხოვრობდა. მაგრამ თვით ხასიათი ბორჯომისა, მისი მდიდარი ბუნება, გაუკაფავი ტყეები, მჟავე წყალი, შუშისა და ხე-ტყის ქარხანა აშკარად ლაღადებენ, რომ ბორჯომს აქვს უფლება განსაკუთრებულ ერთეულად იქნეს გამოყოფილი. ბორჯომთან დაკავშირებულია რამდენიმე კითხვა, მაგალითად ზოგიერთი კუთხე, რომელიც დღეს ახალციხის მაზრას ეკუთვნის შუამდგომლობს ბორჯომთან შემოერთებას. ყველა ეს მოსაზრება ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ბორჯომს აქვს უფლება გამოყოფილ იქნეს ცალკე ერთეულად და ჩამოყალიბდეს შესაფერ პირობებში. ამ საკითხის შესახებ დიდი ენერგიაა დახარჯული, დიდი მასალებია შეკრებილი სხვა და სხვა უწყებების და კომისიების მიერ. კითხვა ამდენად არ გამწვავდებოდა, რომ ეს ენერგია მიზანშეწონილად გამოეყენებიათ დაინტერესებულ უწყებებს და მაშინ აუცილებელიც არ იქნებოდა, რომ აღნიშნული საკითხი დასმულიყო აღმასკომის პლენუმის წინაშე. მაგრამ, ასე თუ ისე, დღეს ფაქტის წინაშე ვდგევართ. აქ არის კომისიის ნამუშევარი და იმ სამი უწყების აზრი, რომელიც მოწვეული იყო კომისიაში. ამ უწყებათა შორის არავითარი განხეთქილება არ მომხდარა,, პირიქით ისინი ადვილად შეთანხმდენ და ერთ აზრს დაადგნენ. მართალია კუჭაიძეს ამტკიცებენ, რომ თითქოს ის სეზონზე ჩადის ბორჯომში მხოლოდ და ისე ყურადღებას არაფერს აქცევს, აგრეთვე უმაღლეს სამეურნეო საბჭოზედაც ამბობდენ, რომ ის ვალდებულია ბორჯომს ყურადღება მიაქციოს, ვინაიდან ეს მის კომპეტენციას შეადგენსო. მიწათმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი ამბობდა: ხე თუ შენია, მიწა ჩვენიაო და საცა ხეა იქ მიწის პატრონიც უნდა იყოსო, ამიტომ შეგვიძლიან შევთანხმდეთ, გავერანებიდან გადავარჩინოთ ბორჯომიო. ამხანაგებმა იციან, რომ როგორც იტყვიან ორ ძიძა შუა ბავშვი შიმშილით მოკვდაო, ასეთივე საქმე ემართება ბორჯომს. კომისიის აზრი ის არის, რომ ამ პროექტის სისრულეში მოყვანით ე. ი. ბორჯომის გამოყოფით, გორის მაზრა არაფერს დაკარგავს. საქმე იმაშია, რომ ფაქტიური მდგომარეობით პერიფერია თითქოს გორია და არა ბორჯომი. ბორჯომს კულტურულის მხრით და თავისი ბუნებრივი სიმდიდრით უფრო მეტი პერსპექტივები აქვს ვინემ გორს. და ამიტომ ბორჯომის გამოყოფა სრულიად არ დაასუსტებს, გორის მაზრას, — პირიქით ეს ერთგვარ ტვირთს მოაშორებს მას, რადგანაც დღეს ბორჯომს ეპატრონება სამი უწყება და ვერც ერთი მათგანი ვერ აქცევს მას შესაფერ ყურადღებას. თითონ ადგილობრივ აღმასკომს არა აქვს საშვალება რომ გააკეთოს ის, რაც აუცილებელია, ხიდებს, სახლების შეკეთება გზების მოწესრიგება და მიმოსვლის გაადვილება. ამიტომ ყველაფერი კისერზე დააწვა აღმასკომს, შემოსავალს უწყებები ითვისებენ და გორსაც როგორც ცენტრს არა აქვს საშვალება დახმარება აღმოუჩინოს მას. ასეთი მდგომარეობა სრულიად დაუშვებელია. კომისიამ ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, რომ უწყებები ამას ხედავენ და შეთანხმების გზას ადგიან. როცა ჩვენ გადავსწყვეტთ ბორჯომის ცალკე ერთეულად გამოყოფას, აუცილებლად მოხდება კონტაქტი დაინტერესებულ უწყებებს შორის და თვითეული მათგანი მონაწილეობას მიიღებს ამ რაიონის ყველა საჭირბოროტო კითხვის გადაჭრაში და მისი აუცილებელი ხარჯების დაფარვაში; ხოლო ეს გარემოება საშუალებას მისცემს ბორჯომის აღმასკომს მოაგვაროს თავისი გადაუდებელი საქმეები. გორს არ შეუძლია ასეთი დახმარების აღმოჩენა. გაითვალისწინა რა ყველა ეს მოსაზრება კომისიამ, საჭიროდ სცნო, რომ ბორჯომის რაიონი გამოყოფილ იქნეს ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად და უშუალოდ დაემორჩილოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. დეტალებს აღარ მოგახსენებთ. ასეთია კომისიის დასკვნა. უნდა მოგახსენოთ, რომ კომისიაში იყო შვიდი კაცი. მათ შორის ექვსმა მხარი დაუჭირა პროექტს, ერთი წინააღმდეგი იყო. კომისიის სახელით ვსთხოვ აღმასკომის სესიას დაადასტუროს კომისიის დასკვნა“.

მოხსენების შემდეგ შედის შეკითხვები, რაზედაც უპასუხებს მომხსენებელი.

ამხ. სტურუა. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, რომ ბორჯომს ექნება თავისი განყოფილებები; ვინაიდან აქ არის საწარმოვო დარგები,—მაშასადამე იქნება შრომის განყოფ. ვინაიდან აქ მკვიდრი მოსახლეობა არის და არა სხვა ადგილებიდან მოსული, ამიტომ აუცილებლად იქნება სწავლა-განათლების განყოფილება. ხალხი ბორჯომშიც იბადება და კვდება და ბორჯომშიც ხდებიან ავად, ასე რომ საჭირო იქნება ჯანმრთელობის განყოფილება. ერთი სიტყვით ის უწყებები, რომელნიც ბორჯომის ბედიღბლის ბატონ-პატრონი იქნებიან, როდესაც ცხოვრება მოითხოვს, გახსნიან სათანადო განყოფილებებს; არც ერთი მოთხოვნილება არ იქნება უარყოფილი თუ ეს აუცილებელი იქნა. ეხლა მეორე შეკითხვა: საქმე იმაში არ არის, ამხანაგებო, თუ რა სახელს დავარქმევთ გამოყოფილ ცენტრს. კომისიის აზრით ამ ერთეულს მაზრა არ უნდა დაერქვას, არამედ უმჯობესია უწოდოთ რაიონი. მაგრამ, ვიმეორებ, სახელს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ის არის რომ რა სახელიც უნდა მიეცეს ბორჯომს, მას, როგორც ერთეულ ადმინისტრატიულ ცენტრს, ექნება სათანადო უფლებები. ეხლა მდგომარეობა იქ სხვანაირია, ბორჯომის აღმასრულებელ კომიტეტს ედავება რამდენიმე უწყება, ბორჯომი ერთნაირი ბალკანეთის კუნძულია. ამ საკითხის მოსაგვარებლად შესაძლებელია სახალხო კომისართა საბჭო იმ აზრს დაადგეს, რომ დანიშნოს მთელი რაიონისათვის ერთი ხელმძღვანელი, ერთი გამგე. ეხლა რაც შეეხება ლაფანაშვილის შეკითხვას—თუ რამდენი მცხოვრები და თემი არის რაიონში, —მე მართალი გითხრათ არ დამითვლია და არც კომისიას უანგარიშია, მაგრამ თუ გნებავთ, გვაქვს რუქა, გავხსნათ და გადავხედოთ, გორის მაზრის კუნჭულში გახლავთ ბორჯომი და იმასთან ახლოს მდებარე თემები: ბერისხევი, კავთისხევი და სხვა.

აი, ეს კუთხე წარმოადგენს ერთნაირ ბუნებრივ ხაზს. ჩვენ გაუწევდით მცხოვრებლებს ანგარიშს იმ შემთხვევაში თუ მათგან იქნებოდა რაიმე პროტესტი, ხოლო ვინაიდან ეს არ ყოფილა და პირიქით ახალციხის საზღვარზე მდებარე სოფლები ითხოვენ ბორჯომთან შეერთებას,—ამის შესახებ ჩვენ გვაქვს მათი დადგენილებანიც ხელმოწერილი მცხოვრებთა მიერ,—ვინაიდან, ვიმეორებ, არც ერთი პროტესტი არ ყოფილა, კომისიამ, შექმნილი არა ნორმალური მდგომარეობის გამო, აუცილებლად სცნო ბორჯომის გამოყოფა. მეტს ვერაფერს გიპასუხებთ.

(თავმჯდომარე: თემების რიცხვი არ დაგვითვლია. აი იქ არის ამხანაგი და შეიძლება მოგვცეს ცნობა. რუხაძე ადგილიდან: 50 სოფელი და 240—არ ისმის).

ორახელაშვილი: ერთი შესწორება. კომისიამ ადგილობრივ აღმასკომის წარმომადგენელთან შეთანხმებით დაადგინა რომ აპარატი მმართველობისა ბორჯომის რაიონში დარჩეს იგივე, როგორიც არის ეხლა. მას აქვს ორი განყოფილება, ეს დარჩება და შტატები არ მიემატება, ჩვენ და ამხ. რუხაძე ამ საკითხში შევთანხმდით. ასე რომ თუ სესია გაიზიარებს ჩვენ დასკვნას, ბორჯომის აღმასრულებელი კომიტეტი არ იქნება გაბერილი და მისი შტატები არ გადიდდება“.

შემდეგ იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას ღებენ ამხ. ამხ. მოწონელიძე, რუხაძე, ფ. მახარაძე.

ფ. მახარაძე: ამხანაგებო, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ამ საკითხის შესახებ. კომისია, ჩემის აზრით, სწორ გზაზე დამდგარა, მაგრამ ერთ გარემოებას უნდა მივაქციო კიდევ თქვენი ყურადღება. ეს გახლავთ ის, რომ ამხანაგ მოწონელიძის მოსაზრებანი იმის შესახებ თუ რატომ დაიბადა ბორჯომის საკითხი, და რატომ დასვა იგი ბორჯომის აღმასკომმა,—ეს მოსაზრებანი სავსებით სამართლიანია, აი საქმე რაშია. უნდა მოგახსენოთ რომ ჩვენ დღემდის ვერ განვთავისუფლებულვართ იმ მემკვიდრეობიდან, რომელიც გადმოგვცა ყოფილმა მთავრობამ, განსაკუთრებით მეფის მთავრობამ. მეფობის დროს ბორჯომი განსაკუთრებული სამთავრო იყო, და ბორჯომის რაიონში განსაკუთრებული კანონები მოქმედობდა; ეს რაიონი რომანოვების საკუთრებას შეადგენდა და რაც უნდოდათ იმას ჩადიოდენ,— მიწა, ტყე, წყლები,—ყველაფერი მათი იყო. ბორჯომი იყო ცალკე, ასე ვსთქვათ, დამოუკიდებელი ტერიტორია. რევოლიუციამ ბორჯომის მამული გადმოგვეცა ჩვენ, ბორჯომი შემოუერთდა საქართველოს რესპუბლიკას, მაგრამ სამწუხაროდ დღემდის ვერ განვთავისუფლდით იმ მდგომარეობიდან, რომელიც არსებობდა მეფობის დროს. ამას მიაქცია ყურადღება ამხ. მოწონელიძემ და ამხ. რუხაძემ, მაგრამ კომისიას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. დღეს მეტად არა ნორმალური მდგომარეობაა ბორჯომში. რას წარმოადგენს დღეს ბორჯომი და მისი რაიონი? ვინ იცის რას წარმოადგენს, აქ თქვენ ვერაფერს გაიგებთ. დღეს იქ გვყავს გამგე ბორჯომის მამულისა, იმ მამულისა, რომელიც აღარ არსებობს. ნიკოლოზი აღარ არის, მისი მამული აღარ არსებობს, მაგრამ ბორჯომის მამული მაინც არის. არიან იქ გლეხები, გვაქვს ქარხნები, მჟავე წყლები, ტყისა და შუშის ქარხანა, არის აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ კაცმა არ იცის ვის ხელშია ბორჯომი, ვინ არის ბატონ-პატრონი, პასუხისმგებელი არის თუ არა რაიმე ადმინისტრატიული გამგეობა. ჩვენ ამის მოგვარება დღემდის ვერ შევძელით, და უმთავრესი ამის მიზეზი არის ის, რომ თუმცა რომანოვები აღარ არსებობენ, მაგრამ ბორჯომის მამული მაინც არსებობს და ეს ასვამს თავის დაღს თვითეულ ჩვენს ნაბიჯს და ყოველგვარ ზომას. ჩვენ სამუდამოთ უნდა განვდევნოთ ხმარებიდან, სამუდამოთ უნდა ამოვშალოთ ჩვენი გონებიდან სახელწოდება: „ბორჯომის მამული“, უნდა განვდევნოთ ისე, როგორც განვდევნეთ რომანოვები. თუ ბორჯომის მამული წარმოდგენილი გვექნება როგორც ვისიმე საკუთრება, დღევანდელი მდგომარეობა არ შეიცვლება. ბორჯომი არის ნაწილი საქართველოს რესპუბლიკისა, იქ უნდა გავრცელდეს ყველა ის კანონი რომელიც მოქმედობს რესპუბლიკის ყველა კუთხეში; დღეს ასე არ არის იმიტომ, რომ ჩვენ ვიმყოფებით წინანდელი მდგომარეობის ზეგავლენის ქვეშ, დღესაც ჰგონია რომ ბორჯომის მამული თითქოს წარმოადგენს ცალკე „სამთავროს“. ჩვენ აქედან უნდა დავიწყოთ. როგორც უნდა იყოს,—ცალკე გამოვყოფთ ბორჯომს, თუ დავტოვებთ ისევ გორის მაზრასთან,—ადგილობრივ აღმასკომს უნდა მიეცეს ისეთივე უფლებები რაც აქვს თემის, რაიონის, ან მაზრის აღმასკომს. თუ ეს არ იქნება არავითარი წესი არ დამყარდება. მართალს ამბობს ამხ მოწონელიძე,—ბორჯომი არის ლამაზი, კარგი გემრიელი კუთხეო. და სწორედ ამიტომ ყველა უწყება ცდილობს, ასე თუ ისე, ჩაიგდოს ის ხელში. მაგ. საკურორტო მართველობა ჯანმრთელობის კომისარიატის სახით ამბობს, რომ ეს წყლები ჩვენთვის საჭირო წყლებია და ჩვენი უნდა იყოსო. მაგრამ ამით როდი კმაყოფილდებიან და განზრახვა აქვთ, რომ მთელი ბორჯომის რაიონი დაიჭირონ.

ჯანმრთელობის კომისარიატი ფიქრობს დაეპატრონოს არა თუ წყლებს არამედ მთელ ბორჯომის რაიონს. აი ასეთია მდგომარეობა; მეორეს მხრით უმაღლესი სამეურნეო საბჭოც ეპატრონება არა მარტო ქარხნებს არამედ მდინარეებს, წყლებს და მთელ სიმდიდრეს ბორჯომისას; ვინაიდან ოდესღაც ეს იყო ბორჯომის მამული და ის მამული მთლიანი იყო; ამ მიზეზით სამეურნეო საბჭოს სურს ყველაფერს მოსდევს ხელი. რასაკვირველია მიწათმოქმედების კომისარიატი გამოაძევებს ტყიდან, ველიდან და სხ-

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 233.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. მოძრაობა გავრცელდა ბრიკ- ა ტრიენტში კვლავ აღადგინეს რება.

ეხო-სლოვაკია და იტალია.

ნოვერი. 10 ოქტომბერი. ვენე- ი მომხდარ ბენეშის და შანცე- შეხვედრის დროს მიღწეულ იქნა ა შეთანხმება ჩეხო-სლოვაკიის იტალიის ურთიერთობის სა- ში.

ტალია და ჩეხო სლოვაკია.

რდო, 10 სექტემბერს. იტალიის ა დიდ მნიშვნელობას აძლევს ერის და ბენეშის საუბარს. ბე- ცოტა ხანს კიდევ რჩება ვენ- ი და ინახულებს ხაზინის მი- რს პარატორას.

პოლონეთი

რიკის სესხი პოლონეთისადმი.

რშავა. „გაზეტა გადანსკ." ცნო- თ, ამერიკის საფინანსო დელეგა- ვარშავაში განაცხადა თავისი ამობა, მიეცეს პოლონეთს სესხი მილ. დოლარი 30 წლის ვადით.

მახნო.

ანოვერი, 10 ოქტომბერი. უკრა- ატამანი მახნო, რომელიც პე- ურასთან ერთად ეწეოდა ბრძო- წითელ არმიის წინააღმდეგ, და- ილ იქნა და გაიგზავნა ვარშავაში ლი თავისი შტაბით.

რანგეთი

დანია

დანიის კაბინეთის გადადგომა.

ანოვერი. 10 ოქტომბერი. დანიის ნეტის გადადგომას მოჰყვა კაბი- ის შემადგენლობის შეცვლა: პრე- მინისტრი და ფინანსთა მინის- რჩებიან თავიანთ ადგილებზე. ნეტიდან გასულ შინაგან საქმეთა სტრის სკავენიუსის მაგიერ და- ნულია დირექტორი კოლდი. თავ- ცვის მინისტრი ბერშტეინი გა- დგა, ისე როგორც ვაჭრობის მი- ტრი რატი. თავდაცვის მინისტრის მზე ინიშნება ბლოსკი.

ესტონია

განიარაღების საკითხი.

მოსკოვი. ოქტომბერში რეველში იხსნება პოლონეთის, ფინლიანდიის, ესტლიანდიის და ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია რუსეთის წინადადების განსახილველად, რომელიც შეეხება განიარაღებას.

ლატვია

ლატვიის ომი.

მოსკოვი. 11 ოქტომბ. დამთავრდა ლატვიის სეიმის არჩევნები. გამოარკვიეს, რომ მრავალმა მუშებმა შეავსეს საარჩევნო ფურცლები ლატვიის პროლეტარიატის მემარცხენე პოპულიარულ წინამძღოლთა სახელებით, რომლებიც მსხვერპლად შეეწირენ კონტრ-რევოლუციას.

ჩეხო-სლოვაკია

ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 11 ოქტომბერი, პრაგაში პოლიციამ დახურა კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი.

ინდოეთი

რევოლუციონური მოძრაობა.

მოსკოვი. 11 ოქტ. ინდოეთში გრძელდება მღელვარება. მთავრობა შიშობს, რომ ჯარები შესაძლებელია შეუერთდეს რევოლუციონურ მოძრაობას.

ჩინეთი

ჩინეთის არმიის რეფორმა.

ბერლინი. გაზ. „ალგემაინე ცეიტუნგის ცნობით, განზრახულია ჩინეთის არმიის რეფორმა რათა აამაღლონ მისი ხარისხი. პეკინის მთავრობას განზრახული აქვს 3 წლის განმავლობაში მოახდინოს არმიის გაწმენდა და გამორიცხოს სამსახურიდან ყველა ძველი და ავადმყოფი სალდათები ეს გაწმენდა წინასწარი გამოანგარიშებით შეამცირებს ჩინეთის არმიის შემადგენლობას 40 პროცენტით.

ანტანტა და გერმანია

საკონტრიბუციო კომისიაში

ნაუენი. 11 ოქტ. სამშაბათს სა- ნტრიბუციო კომისიამ განიხილა მანიის მიერ მორიგი გადასახადის ტანასთან დაკავშირებული საკით- ი. მორიგი გადასახადი იანვარი- ვა 450 მილ. მარკად, რომელიც ტანილი უნდა ყოფილიყო 31 სექტ. მისია შეთანხმდა იმაში, რომ ამ დასახადის შეტანა მარკის კურსის ემის გამო ყოვლად შეუძლებელია ება გერმანიისათვის. პარასკევს ლინში დაიწყება მოლაპარაკება გლისის, საფრანგეთის და ბელგიის ანანსისტ. ექსპერტებთან აღნიშნულ დასახადის შეტანის შესრულების სახებ.

გადასახადების მომატება

ნაუენი. 11 ოქტ. გერმანიის ფინანსთა სამინისტრო ამზადებს პროექტს პირველი იანვრიდან გადასახადების 2—252 პროცენტით გამრავლების შესახებ მუნიციპალურ დაწესებულებათა ხარჯების დასაფარავად.

ბარტუს ტაქტიკა.

პარიზი. 11 ოქტომბერი „ჟურნალი იუწყება, რომ ბარტუმ საკონტრიბუციო კომისიის სხდომის შემდეგ განაცხადა: „ჩემი ტაქტიკა ისეთივე იქნება, როგორიც იყო ჟენევაში". მან დაუმატა, რომ შეეცდება ყოველგვარ დაბრკოლებებს ბოლო მოეღოს და

ა მდგომარეობაა დღეს რაიონში? ტად სამწუხარო და გაუგებარი გომარეობა. არის ბორჯომის მამუ ის გამგე რომელიც არ სცნობს ც აღმასრულებელ კომიტეტს, არც კურორტო გამგეობას, არც მიწათ- ედების კომისარიატს; ეს ჩვენი ალიც არის. ასეთი მდგომარეობა ვლად დაუშვებელია. ამას ბოლო და მოეღოს. დღეს ჩვენ უმთავრესი რადღება უნდა მივაქციოთ იმას, ბორჯომის ხეობაში აღვადგი- ოთ რესპუბლიკის ყველა კანონი, ი. მივანიჭოთ თითეულ კომისარი- ს ის, რაც შეადგენს მის ბუნებრივ თვნილებას: უმაღლეს სამეურნეო ბჭოს უნდა ქონდეს თავის თავის ნკარგულებაში ქარხნეში, რომელ- აც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშ- ნელობა და არა მარტო ადგილობ- ივი, ჯამრთელობის კომისარიატის ლში უნდა იყოს წყლისა და აბა- ების საქმის მოწყობა, მიწათმოქ- დების კომისარიატს უნდა მიეცეს უფლება, რაც მას აქვს რესპუბ- იკის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო გილობრივი აღმასკომი უნდა ჩავა- ნოთ ნორმალურ პირობებში, თუ სე იქნება, და რასაკვირველია, ეს ა იქნეს აუცილებლად, მაშინ დევანდელი გაუგებრობის ცხრა მე- ედი თავის თავად მოისპობა და დგილობრივი აღმასრულებელი კომი- ეტი ჩავარდება თავის ნორმალურ ალაპოტში, ისე, როგორც რესპუბ- იკის ყველა სხვა კუთხე და მაზრა. ერთი მხარე. სამწუხაროდ კომი- ის ამ გარემოებისათვის როგორდაც აკლები ყურადღება მიუქცევია.

მეორე საკითხია ბორჯომის რაიონის გამოყოფა. ეს სრულებით სხვა საგანია და უნდა ითქვას, რომ ამ მხრით კომისიის დასკვნა სავსებით სამართლიანია. მართლაც, ბორჯომს ფაქტიურად ვენ უყურებდით როგორც ცალკე ერთეულს, ვინაიდან ბორჯომს მართლაც აქვს ასეთი მნიშვნელობა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ბორჯომის გამოყოფა და იქ ცალკე ადმინისტრატიული ერთეულის შექმნა, რომელიც დაექვემდებარება ცენტრალურ ორგანოებს,—აუცილებელ საქმეს წარმოადგენს. მაგრამ რა ფარგლებში მოხდება ეს,—ამის შესახებ სამწუხაროდ მე მასალები არა მაქვს და არ ვიცი, შეიძლება აქვს კომისიას. მე ვკითხები კომისიას—აქვს მას ნაჩვენები ბორჯომის რაიონის საზღვრები?

სტურუა: საზი, თავის თავად ცხადია, გამორკვეულია. მაგრამ კომისიას არ შემოუხაზავს, ვინაიდან იქ მიწვეული იყვნენ ყველა უწყებები, რომელთაც განაცხადეს, რომ გამონახავენ ერთ ენას, და როგორც ილაპარაკა ამხ. ფილიპემ, თავთავის წილს მიიღებენ და საქმეს მოაგვარებენ.

ფ. მახარაძე: მაშასადამე, ასე თუ ისე, იქ შეიქმნება ადმინისტრატიული ერთეული, ეს პრაქტიკული მოსაზრებაა. ეს მიზან-შეწონილი არის. რა ხასიათი მიეცემა გამოყოფილ ბორჯომს ეს სულერთია, იქნება იქ სამაზრო თუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი იგი უშუალოდ იქნება დაკავშირებული პირდაპირ ცენტრთან. ეს არის მთავარი პრინციპიალური მხარე, ხოლო დეტალები და წვრილმანები შემდეგ გამოირკვევა. მივანდოთ ეს აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს ან სპეციალურ კომისიას. რაც შეეხება იმ საკითხს თუ რა და რა განყოფილება უნდა მოეწყოს ბორჯომში, ამის განსაზღვრა წინასწარ მე მგონია შეუძლებელია; ეს საქმეც უნდა მიენდოს რომელიმე ორგანოს, რომელიც ადგილობრივად შეისწავლის რაიონის პირობებს, იმ კომისარიატებთან ერთად, რომელნიც ასე თუ ისე, დაინტერესებულნი არიან".

დასასრულ მიღებულ იქნა წინადადება, ერთი, რომ ბორჯომის რაიონი, როგორც ცალკე ადმინისტრატიული ერთეული, დაემორჩილოს, საერთო წესით, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს და, მეორე, მიენდოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოაწესრიგოს ბორჯომის რაიონში ის არა ნორმალური პირობები, რომელიც აქამდის იყო.

არავითარ შემთხვევაში არ დაშორდება მოკლერს.

გერმანიის და საფრანგეთის მრეწველების მოლაპარაკება.

ბორდო. 11 ოქტომბერი. გერმანიის მრეწველები 14 ან 20 ოქტომბერს გაემგზავრებიან განადგურებულ ადგილების აღსადგენად. მოგზაურობა გაგრძელდება ათი დღე გერმანიის მრეწველები შეხვდებიან საფრანგეთის მრეწველებს და ერთად დაათვალიერებენ ადგილებს.

საბჭოთა საქართველოში

ბათომი.

ცენტრო კავშირში. მოსკოვში ნავთსადგურთა კანტორების ყრილობამდე, ცენტრო კავშირის ბათომის განყოფილებას, თითქმის არავითარი კავშირი არ ქონდა მოსკოვთან. არა მარტო ბათომის ბაზარი, არამედ მთელი ამიერ კავკასია იკვებებოდა ბათომის ნავთსადგურში შემოტანილ უცხოეთის საქონელით. ყრილობის შემდეგ, როდესაც მოსკოვის ცენტრო კავშირმა ხელშეკრულება დასდო ადგილობრივ წარმოების საქონელის მიწოდების შესახებ მოსკოვის ფაბრიკების საქონელის სამაგიეროთ, ცენტრო-კავშირის ბათომის განყოფილებამ მნიშვნელოვანად გააცხოველა თავისი მოღვაწეობა, განსაკუთრებით ნედლი მასალის დამზადების სფეროში. მოსკოვის ცენტრო კავშირისათვის საქონლის დამზადება უკვე დაამთავრა ბათომის განყოფილებამ: დამზადებულია 5.000 ფ. კაკალი, 3.000 ფ. დაფნის ფურც.- 1.000 ფ. ჩაი და სხვ., ამ დღეებში გაიგზავნება ხსენებულ საქონელის ანგარიშში პარტია 3.300 ფ. თამბაქო, 500 ფ. ჩაი, 200 ფ. დაფნის ფურცელი და 3.000 ფ. კაკალი. თავის მხრივ ხელშეკრულების ანგარიშში მოსკოვმა უკვე გამოგზავნა თბილისში 12 ვაგონი სხვადასხვა საქონელი, რომლის ნაწილი ერგება ბათომის განყოფილებას. ამ საქონლის მიღების შემდეგ ბათომის განყოფილებას შეუძლია გააფართოვოს თავისი ოპერაციები და გამოვიდეს ადგილობრივ ბაზარზე.

ზუგდიდი.

ახალგაზრდობის კომკავშირი. სულ ორგანიზაციაში 500 კაცია. სწარმოებს იაჩაიკების სისტემატიური მეცადინეობა. ძველ წევრებს შორის წერაკითხვის უცოდინარობა მოსპობილია. ორგანიზაციაში მიღებულია 40 წერაკითხვის უცოდინარი, რომელნიც დამტკიცებული არიან საქართველოს ახალგაზდობის კომკავშირის კანდიდატებათ. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე გაცხოველებულად ჩატარდა; მხოლოდ ერთ რაიონში დღესასწაულს დაესწრო 5,000 კაცი. კომპარტიასთან კავშირი შედარებით სუსტია. ზუგდიდში არსებობს პოლიტიკური წრე.

გორის მაზრა.

საერთო სწავლება. საერთო სწავლების საქმე წარმატებით მიმდინარეობს. გორში სწარმოებს 300 მოზრდილ ახალგაზრდის სწავლება. პროგრამა 96 საათ. განვლილია. შეუდგენ 120 საათ. პროგრამას. 1 ოქტომბერს გაიმართა დიდი გასეირნება მუსიკით სოფ. აუნში.

ახალი ბაზარი. კომუნალურ განყოფილებამ სოფლის მეურნეობის ნაწარმოების წარმატებით გასაღებისა და შემოსავალის გადიდების მიზნით, 8 ოქტომბერს გორში გახსნა ახალი ბაზარი სასწორით. ბაზარი მოთავსებულია მტკვრის მახლობლად დიდ მოედანზე. პირველ დღესვე ბაზარზე გაიმართა გაცხოველებული ვაჭრობა. მოქმედობს აგრეთვე ძველი ბაზარიც სასწორის ქუჩაზე. ახალ ბაზარს, ტერიტორიის სიდიდისა და რკინისგზის სადგურთან ახლოს მდებარეობით, აქვს დიდი უპირატესობა.

პროვინციაში

აბასთუმანი

მშვენიერი და თვალწარმტაცია აბასთუმნის ბუნება: ფართო გზის ორივე მხრით მთები, უფრო ფიჭვის და აგრეთვე ნაძვის ტყით დაფარული მიდამო, წმინდა, მსუბუქი, მშრალი და მჟავბადით სავსე ჰაერი, რაც ძვირფასია მით, რომ ბევრ ტუბერკულიოზით დაავადმყოფებულს აჯანსაღებს, სიცოცხლეს უგრძელებს და ზოგიერთს კიდევაც ჰკურნავს, კარგ დღეებში ტყეში ფიჭვის და ნაძვის წვენის სუნი, მზეზე არასოდეს ოფლიანდები, დედამიწის სიღრმიდან გამომავალ (ჰეიზერის ნაყოფი) ბუნებრივად ცხელი წყლის სამკურნალო წმინდა ცივი სასმელი წყალი, მოუსვენარი და შეუდარებელი სიჩქარით მიმავალი მდინარე აბასთუმანი, თამარის ციხე, სხვა მრავალი სურათები, აი რა ჰხიბლავს ადამიანს.

მაგრამ წარსულთან შედარებით დაინახავთ ფრიად სამწუხარო სურათს: მენშევიკებსა და თათრებს შორის გაჩაღებულ ომის დროს დამწვარ დანგრეულ და გაცარცულ სახლებს...

ყოფილ მემკვიდრე გიორგის სასახლის, აგრეთვე კერძო პირთა შენობებში—იყო გახსნილი ივლისის პირველ რიცხვებში სახჯანკომის მიერ სანატორიუმები, სადაც სახელმწიფო ხარჯზე ითვლებოდა საქ-ს სხვა და სხვა ადგილებიდან ჩამოსული ავადმყოფები რიცხვით სამასამდე ორ თვეს, ზოგი ხუთ კვირას, უფრო მძიმე ავადმყოფები დატოვებულ იქნენ 12 სექტემბრის შემდეგაც 27 დი.

ასე იყო მოწყობილი ბორჯომ-ბაკურიანის ხაზზე მდებარე კურორტების სანატორიუმებიც, სადაც სახელმწიფო ხარჯზე იმყოფებოდა რამოდენიმე ასეული ავადმყოფი.

დასასვენებლად ჩამოსულმა ამხ. ფილიპემ აქ გასწია დიდი სამუშაო, იყო მრავალ სოფლებში, სადაც ხალხი მას დიდი აღტაცებით ხვდებოდა. მისი ბინის წინ ყოველთვის ნახავდით ათეულ მთხოვნელებს...

საუცხოვო ადგილზე არის ცარიზმის დროს დაწყებული ოთხსართულიანი უზარმაზარი აგურის შენობა „არაზინდო", რომელიც შენდებოდა სანატორიუმის მოსაწყობათ. კიდეც 23 ოთახი ყოფილა გამზადებული, მაგრამ ზევით ხსენებულ ომის დროს იქნა წაღებული თათრების მიერ კარები, ფანჯრები და სხვა მოწყობილობანი, ხოლო მენშევიკურ მთავრობას ამ შენობისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, რის გამო ეს დაუფასებელი ღირებულების შენობა უნდა დაღუპულიყო: სახურავი გაფუჭებულიყო, კიდეც ატანდა, სარდაფი ავსებული იყო მიწით და ამ ზამთარს დაინგრეოდა, მაგრამ ამხ. ფილიპემ და სხვა ამხანაგებმა დაინახეს ასეთი მდგომარეობა, ამხ. ფილიპემ გადასდო ორასი მილიონი მანეთი მის გადასარჩენად; კიდევაც დაწყებულ იქნა მუშაობა, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, შენობა გადარჩენილია და ამ ზამთარს მზად იქნება 23 ოთახი, (მთლად იქნება ასამდე).

შენობა ისეა აგებული, რომ მზე ყველა ოთახებში ერთიანად ანათებს და სხვა ადგილებთან შედარებით ამ შენობის ირგვლივ მზე ერთი საათით გვიან ჩადის.

ხშირი იყო წვიმები (იყო სეტყვაც), მაგრამ აქაური ნიადაგი ისეთია, რომ არასოდეს ტალახი არ დადგება.

იმართებოდა წარმოდგენა—კონცერტი და ლექციები. ბლომად იყვნენ კერძოდ ჩამოსული ავადმყოფებიც.

ბორჯომისაკენ სადაც დასავლეთ საქ-ს ავადმყოფთ უცდიდა სანიტარული მატარებელი № 1, გავიდა უკანასკნელი ავტომობილი (ავადმყოფებით) 12 სექტემბერს.

მშვენიერი სანახაობა გზაზე.. მწვავე ხეხილის ბაღები, განსაკუთრებით სისხლივით წითელ ვაშლის—იპყრობს ადამიანის ყურადღებას. დიდია მოსავალი კარტოფილის. როგორც სოფლებიდან ჩამოსული გლეხები ამბობენ, გვარიანი ყოფილა პურის მოსავალი. სიმინდი ძლიერ დაბალი იზრდება პატარა ტაროთი.

კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილი მხარეა, ღარიბად არიან აქაური მცხოვრებნი. ერთი გლეხი, ისიც უხეირო თოხით სიმინდს სჭრიდა, აშკარაა მიწის მუშებს აკლიათ და სრულიადაც არ აქვთ აუცილებლად საჭირო სასოფლო მეურნეობის იარაღები.

მდინარე აბასთუმანის და მეორე მტკვარს მისდევს კარგი და ფართო გზა, გველივით დაკლაკნილი, მაგრამ ქ. ახალციხის მახლობლად იყო გაფუჭებული პატარა მანძილზე, აგრეთვე ერთი ხიდის ზევითა ფიცრები დამპალი, იყო, აწყურის მახლობლად გაფუჭებული გზა. რამაც ხელი შეუშალა ავადმყოფთა მშვიდობიანიდ მგზავრობას.

აწყურის მიდამოებში ჩვეულებრივ მუდმივ ქარი ჰქრის: მცხოვრებთ სახლები მიწაში აქვთ.

ადამიანი თანდათან და ბორჯომში ჩამოსვლისას ამჩნევს დიდ განსხვავებას აბასთუმნის ჰაერთან შედარებით.

ჟან-ფანი

—

ზუგდიდის მაზრა.

ცნობილია, რომ ზუგდიდის მაზრა მენშევიკების ბატონობის დროს წარმოადგენდა ერთ ერთ მაზრას, სადაც ყაჩაღები თავისუფლად ნავარდობდენ და ახდენდენ ძარცვა გლეჯას. სენაკიდან ზუგდიდამდე მიმავალ მგზავრებს ყოველ დღე ძარცვავდენ და შექმნილი იყო აუტანელი მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თვალსაჩინოდ შემცირდა ყაჩაღების რიცხვი, და დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. მილიციის მოქმედება ამ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი იყო. მილიციაში მოხდა რეორგანიზაცია და გაწმენდა ორ სამჯერ. მთელი მაზრა დაიყო შვიდ სამილიციო უბნად; ზუგდიდის, დარჩელის, ხობის, წალენჯიხის, ლიის, ჩხოროწყუს და ახალ ხიბულის. უკანასკნელი, ხიბულის უბანი ცნობილია როგორც ბუდე ავაზაკების როგორც ნიკოლოზის, ისე მენშევიკების დროსაც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აქ იჩინა თავი ბანდიტიზმმა-ყაჩაღობამ. მაზრის რევკომმა მიიღო ზომები და ამ უბანში დანიშნულ იქნა მილიციის უფროსად ერთ-ერთი უპარტიო პიროვნებათაგანი ივლისში 1921 წლის, მაგრამ მან ვერ გაამართლა მაზე დამყარებული იმედი. რევკომმა საჭიროდ სცნო ამ რაიონში უფრო შესაფერისი ამხანაგის დანიშვნა მილიციის უფროსად. სანამ რევკომი ამას იზამდა, რესპუბლიკის მილიციის სამმართველოდან მოვიდა განკარგულება მაზრის ექვს უბნად დაყოფის შესახებ და მეშვიდე, ხიბულისა იქნა გაუქმებული. ვინაიდან ხიბულის უბნის გაუქმება ხელს შეუწყობდა ბანდიტების თავისუფალ თარეშს, აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქ. სახ. კომ. წინაშე მეშვიდე ხიბულის უბნის გახსნის შესახებ და კიდევაც ნება დართულ იქნა. აქ, ე. ი. ხიბულში ისევე მოეწყო რაიონის მილიცია, რომლის სათავეში სდგას ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი და რომლის მუშაობამ საგრძნობი შედეგი მოგვცა. ახლა ამ რაიონში იკლო ბოროტ-მოქმედებამ ყაჩაღების მხრივ და ქურდობა სრულებით მოსპობილია. მაზრის სხვა რაიონებში ყაჩაღები არც კი დარჩენილან, ზოგი მათგანი მილიციის მიერ შეპყრობილია და ზოგნი კი თავის ნებით გამოვიდნენ და დანებდნენ ადმინისტრაციას. გარდა ამისა აღმასკომის მიერ მიღებულია სასტიკი ზომები მათი შემნახველების და წამქეზებლების წინააღმდეგ, და ახლა შესაძლებელია ითქვას, რომ მაზრა სრულებით გაწმენდილია ყაჩაღებისაგან. სენაკ ზუგდიდ შუა ქონდა ადგილი რამოდენიმე თავდასხმას მგზავრებზე და გაძარცვას, მაგრამ ბოროტ-მოქმედებანი გახსნილ იქნა ხობის რაიონის მილიციის უფროსის ენერგიული მუშაობით.

კირილე მიქაია.

ქრონიკა

◆ **ზემო ავჭალის მუშების მომარაგება.** ქალაქის აღმასკომი აწარმოებს მოლაპარაკებას მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივთან, რათა უკანასკნელმა თავს იდოს ზემო ავჭალის გიდრო ელექტრონის სადგურის მუშების მომარაგების ორგანიზაცია. მუშების რაოდენობა იქ ახლო მომავალში 1000-მდე მიაღწევს. მათთვის საჭიროა გაიხსნას მუშაობის ადგილზე საწვრილმანო ვაჭრობის დუქანი, (საკვები პროდუქტები, პაპიროსი, თამბაქო და სხვ.) სასადილო და საჩაიე, და აგრეთვე მუშების პურით მომარაგება. მთლიან მუშათა კოოპერატივისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ საჭიროა ამ საქმისათვის სატრიალებელ თანხიდან მნიშვნელოვანი ნაწილის გადადება. თუ ამ საკითხის შესახებ მოხდა ქალაქის აღმასკომთან შეთანხმება—საქმის ორგანიზაციას მუშათა მთლიანი კოოპერატივი იმავე საათში შეუდგება.

◆ **კულტურულ განმანათლებელი მოღვაწეობა.** მუშათა მთლიანი კოოპერატივის მოსამსახურეები, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების დახმარებით, შეუდგენ კულტურულ - განმანათლებელ ღონისძიებათა გამომუშავებას. მუშათა მთლიანი კოოპერატივის ყოფილ სასადილოს შენობაში (კირპიჩნაია 7) გაიხსნება კლუბი საჩაიეთი და სამკითხველოთი კლუბში გაიმართება სისტემატიური მოხსენებები და საუბრები კოოპერატიულ თემებზე. დაარსებულია გაერთიანებული კულტ-იაჩეიკა მუშათა მთლიან კოოპერატივის, ამიერ-კავკასიის კავშირის და აზკავშირის თბილისის განყოფილების მოსამსახურეებისაგან. შემუშავებულია სამოქმედო პროგრამა, მზადდება სპექტაკლი.

◆ **ლექცია მოსამსახურეებისათვის.** საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილება აწყობს სისტემატიური ლექციების სერიას კოოპერაციის თეორიის და პრაქტიკის საკითხების შესახებ, მუშათა მთლიან კოოპერატივის მოსამსახურეებისათვის.

◆ **საფინანსო განყოფილების კონსულტანტი.** პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილების კოლეგიის წევრად და კონსულტანტად ინიშნება ამხ. სმირნოვი.

◆ **ფერშლების პუნქტების ლიკვიდაციის გამო.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც შეეხება ფერშლების პუნქტების გაუქმებას მათი საექიმო პუნქტებად შეცვლით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გაგზავნა აღმოსავლეთ საქართველოში ინსტრუქტორი, რომელსაც ჯანმრთელობის განყოფილებათა მოწყობის გარეშე დაევალა აგრეთვე ფერშლების პუნქტების ლიკვიდაცია.

◆ **პური ამიერ კავკასიისათვის.** მიღებულია ცნობები, რომ ნოვოროსიისკში დატვირთულია ხორბლით პირველი გემი, რომელიც დაუკვეთია „რუსკავტორგს" გემი ამ დღეებში მოვა ფოთში. სამთო რაოდენობა შეადგენს—40,000 ფუთს. ხორბალი იგზავნება მარცვლებით. უტომროთ. იმ ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ აღნიშნულ ხორბლის შეძენა დასჭირდება 8 ათასამდე ტომარი.

რუსეთის სახელმწიფო ბანკის მისამართით ფოთში მოვიდა ნოვოროსიისკიდან გემი, დატვირთული 15 ათასი ფ. ხორბლით. უკვე შეუდგენ ხორბლის თბილისში გადაგზავნას.

◆ **სასკოლო გადასახადი.** ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ შეიმუშავა ადგილობრივ სასკოლო გადასახადის პროექტი. პროექტი წარედგინება ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

◆ **საბინაო გადასახადი.** ქალაქის აღმასკომის პლენუმის დადგენილების თანახმად, საბინაო გადასახადის შემოღების აუცილებლობის შესახებ, რომლის მიზანია ნორმის ზევით დარჩენილ ბინების დაბეგვრა, საფინანსო განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი ამ გადასახადისა.

◆ **ნიხრი საქონლის დასაკლავად.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, 10 ოქტომბრიდან გადიდებულია ნიხრი საქონლის დასაკლავად ქალაქის სასაკლაოებზე.

◆ **ექიმების სტაჟების შემოწმება.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მოახდინოს საგანგებო კომისიის საშუალებით ექიმების სტაჟების შემოწმება ისე, რომ ექიმები, რომლებიც პროვინციაში მუშაობდენ 2 წლის განმავლობაში გადმოიყვანონ თბილისში, თავიანთი მუშაობის შესავსებათ, მათ მაგივრად პროვინციაში გაიგზავნებიან ექიმები, რომლებიც მუდმივად თბილისში მუშაობდენ. ეს საშუალება გამოწვეულია მით, რომ საექიმო ლიტერატურის სიმცირის გამო ექიმები ვერ ეცნობიან მედიცინის ახალ მონაპოვარს და ამ რიგად ჩამორჩენილი არიან ცხოვრებიდან.

◆ **ქიმიკოსთა კავშირი** წინადადებას აძლევს ყველა უმუშევარ წევრებს, გატარდენ რეგისტრაციაში კავშირის შენობაში—შრომის სასახლე, მესამე სართული, ოთახ. № 31.

— რეგისტრაცია სწარმოებს 16 დან 20 ოქტომბრამდე, საღამოს 6-დან 8 საათამდე. ამ ხნის განმავლობაში ვინც არ გატარდება რეგისტრაციაში, იქნება კავშირიდან გამორიცხული.

გამომცემლობის საქმე.

◆ **ახალი წიგნები.** გამოვიდა და იყიდება სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის და გიორგის ქუჩების კუთხე) 1) რ. ს. ს. ფ. რ. კონსტიტუცია შედგენილი სტუჩკას მიერ. 2) საქარ. სოც. საბჭოს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

„თაიგული", („ბუნების კარის" მაგივრათ). ქართულ და რუსულ ენებზე „პედაგოგიკა საბავშო ბაღების" და „თავისუფალ აღზრდის ტეორია" რუსულ ენაზე. ვაჟა-ფშაველას ლექსები ტომი I.

ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოვა გასაყიდათ ბ. შარაშიძის „გეომეტრია" ნაწილი I., „ჩვენი სკოლა", ნაწ. III. მე-2—3-მე განყოფილების კურსი და „ჩვენი შკოლა" ნაწილი I. პირველ განყოფილებისათვის.

◆ **სახელმძღვანელოები თათრულ ენაზე.** ადერბეიჯანის სახალხო გან. კომისარიატიდან მიღებულია სასწავლო წიგნები ყოველ საფეხურიან სკოლებისათვის მუსულმანურ ენაზე.

◆ **წიგნები რუსეთიდან.** საქ. სახალხო განათ. კომის. სახელმწიფო გამომცემლობის მიერ მოსკოვში გაგზავნილია სპეციალური პირი სასწავლო და პოლიტიკურ ლიტერატურის შესაძენათ. პირველი პარტია უკვე გამოგზავნილია და ამ 30 ამ თვისთვის მოველით თბილისში.

◆ **სახელმწიფო გამომცემლობის მცირე სარედაქციო კოლეგია.** კომუნისტურ პარტიის ცენტრ, კომიტეტის პრეზიდიუმმა ამ დღეებში დაამტკიცა სახელმწიფო გამომცემლობის მცირე სარედაქციო კომისია, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. მ. ორახელაშვილი, წევრებათ, ამხ. დ. კანდელაკი. რ. კალაძე, ს. აბაშელი, პ. მ. საყვარელიძე ის. თალაკვაძე და კასიანი.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი ოქტომბრის 10-მდე?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობებით აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში, სადაც წლევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება სწარმოებს, ოქტომბრის 10 თვის ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 431,242 ფუთი, ანუ 71,8 პროცენტი აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე 10 მაზრაზე შეწერილ გადასახადისა.

რამდენია თვითეულ მაზრაში აკრეფილი?

ქვემო მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რამდენი ფუთი ხორბლეულის ერთეული აქვს შეწერილი თვითეულ მაზრას, რამდენი ფუთია აკრეფილი და ეს აკრეფილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენს პროცენტს შეადგენს.

მაზრები.	რამდენი ფუთი ხორბალი აქვს წელს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
1. გორის მაზრა .	100.000	100.000	100,0
2. თელავისა. . .	60.000	58.600	97,7
3. სიღნაღისა. . .	100.000	92.797	92,7
4. სამხრეთ ოსეთი .	25.000	20.249	80.9
5. ახალციხისა . .	55.000	43.420	78 9
6. ტფილისისა . .	70.000	51.550	73,6
7. დუშეთისა. . .	30.000	21 982	73,3
8. თიანეთისა . .	20.000	8.979	44,8
9. ახალქალაქისა .	36.000	10 598	29,4
10. ბორჩალოსი . .	80.000	5 067	6,3
სულ	576.000	413,242	71,8

კამპანიის მსვლელობა

ახალციხის მაზრა. წლევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება მეტად წარმატებით მიმდინარეობს. გადასახადის აკრეფა თავდება შემდეგ თემებში: ვარხანისა, უდინისა, ვალინისა, კლდისა, აწყურისა და იდუმალინისაში. ყველაზე მეტი აკრეფილია (87,5 პროცენტი) აწყურის თემში, მას მოსდევს ვალინის თემი, სადაც აკრეფილია 85 პროცენტი. მიუხედავად იმისა, რომ ურაველისა და ადიგენის თემში გადასახადის აკრეფა მხოლოდ სექტემბრის 15-ს დაიწყო, იქ უკვე აკრეფილია შეწერილ გადასახადის ნახევარზე მეტი. ყველაზე ცოტა (6 პროცენტი) შეგროვილია ლეპისის თემში იმ მიზეზით, რომ იქ გადასახადის აკრეფა მხოლოდ სექტემბრის 26-ს დაიწყო. კამპანიის მსვლელობის მიხედვით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ გადასახადი შეკრეფილ იქნება სრულად.

ახალციხის მაზრაში უმთავრესად გროვდება ხორბალი. ოქტომბრის 1 მდე შეგროვილია: ხორბალი—30.010 ფუთი, ქერი—2.646 ფ., ქერდიკა—367 ფ., კართოფილი—3.013 ფ., მსხვილფეხა საქონელი—1.635 ფ., ცხვარი—695 ფ. და ფულად—500.890.000 მან.

თელავის მაზრაშიც აკრეფილია 100 პროცენტი

სახალხო სასურსათო კომისარიატმა ეს ეს არის დეპეშა მიიღო, რომლითაც ატყობინებენ, რომ თელავის მაზრაში წლევანდელ სასურსათო გადასახადის აკრეფა დასრულებულია. სულ აკრეფილია 60.000 ფუთი ხორბლეულის ერთეული, ანუ მთელი 100 პროცენტი ამ მაზრაზე შეწერილ გადასახადისა.

ამ რიგად ჯერ-ჯერობით წლევანდელ გადასახადის შეგროვება დასრულებულია აღმოსავლეთ საქართველოს ორ მაზრაში: გორისა და თელავისაში. სიღნაღის მაზრიდან ალბად დღეს ხვალ იქნება მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ იქ დასრულებულია გადასახადის აკრეფა.

მდგომარეობა ბირჟაზე

ბათომის ბირჟა

ბათომი. 6 ოქტომ. ბათომის სავალუტო ბირჟის ოფიციალური ცნობა.

	4 ოქტ.	6 ოქტ.
ოსმ. ქალ. ლ.	—160 164,000 ქ. ბ.	159—162,000 ქ. ბ.
დოლარი.	—152,155 პიასტრი	150 153 პიასტრი
გირ. სტერლ.	—675—685 პ.	665-675 პ.

მუშათა ცხოვრება

ქალაქის სასაკლაო.

ამ განყოფილებაში დაბანდებულია ყველაზე მეტი მუშა ხელი. განყოფილებას აქვს თავისი აბანო. მაგრამ აბანო ამ ქამად ტეხნიკური მიზეზებით არ მუშაობს. უაბანობა ძლიერ ცუდ პირობებში აყენებს მუშებს, ბადებს ანტისანიტარულ მდგომარეობას. ამ განყოფილებისათვის ყველაზე უფრო საჭიროა აბანო, ვინაიდან მუშები საქონლის დაკვლას აწარმოებენ და საშინლათ ისვრებიან საქონლის სიბინძურით, ანტისანიტარულ მდგომარეობას აორკეცებს აგრეთვე კამერების უსუფთაობაც. კამერები პირდაპირ სიბინძურის ბუდეს წარმოადგენენ. ასეთი ანტისანიტარული მდგომარეობა პირუტყვის საკლავ განყოფილებისა გამომდინარეობს უწყლობისაგან. საერთოდ კანალიზაციის საქმე ცუდ პირობებშია დაყენებული ყველა განყოფილებებში, მაგრამ კამერების განყოფილება კი ყოველ ვის აჭარბებს. საჭიროა კანალიზაციის საქმეს დროზე მიექცეს ყურადღება და ამ თავითვე იქნეს საქმე მოგვარებული, ვისგანაც ჯერ არს, თორემ ასეთ პირობებში საქონლის საკლავის განყოფილების დატოვება ყოვლად შეუძლებელია. შრომის დაცვის კანონი მთლიანად არ სრულდება. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ განყოფილებაში მუშაობას ეწევიან მცირე წლოვანნიც, რითაც ირღვევა მუშათა დაცვის კანონები მცირე წლოვანთა მიმართ. შრომის ინსპექციამ რამდენჯერმე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და აკრძალა მცირე წლოვანთა დაშვება სამუშაოზე, მაგრამ ინსპექციის გაფრთხილება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ფურნის განყოფილება

ამ განყოფილების უარყოფითი მხარე შენობის ანტიჰიგიენურ პირობებში გამოიხატება. ფურნეს არა აქვს არც ერთი სავენტილიაციო ფანჯარა. თუმცა ფურნეს აქვს ჩვეულებრივი ფანჯრები, მაგრამ ჰაერის გასაწმენდ საშუალებათ ეს ფანჯრები არ გამოდგება, ვინაიდან მისი გაღება გამოიწვევს შრომისაგან გაოფლიანებულ მუშების გაცივებას, იმედია ამ გარემოებას მოეღება ბოლო და ფურნეს გაუკეთდება სავენტილიაციო ფანჯრები.

უტილიზაციონური ქარხანა.

ამ განყოფილებაში მუშაობს რამდენიმე მუშა ხელი. აქ წვავენ უვარგის საქონელს. ქარხანა ანტისანიტარულ პირობებში იმყოფება. მუშებს არ აქვთ ბინა თუმცა მათ აქვთ ერთი ოთახი, მაგრამ ეს უფრო საკუჭნაოს გავს, ვიდრე ოთახს. ოთახში საშინელი სიმყრალის სუნია. აი ასეთ „ოთახში" უხდებათ საჭმელის ჭამა და დასვენება მუშებს. შრომის ინსპექტორმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და დაპირდა ზომების მიღებას. იმედია დაპირება საქმეთ იქცევა და დროზედ მოეღება ბოლო მუშების ასეთ მდგომარეობას. მუშებს აქვთ აბანო, მაგრამ უწყლობის გამო ამ ქამად არ მუშაობს.

მეზიარული

რუსთაველის თეატრის მოსამსახურეთა შორის.

დღემდი ადგილკომი დიდ უმოქმედობას იჩენდა, უკეთ რომ ვსთქვათ არაფერს არ აკეთებდა. ზოგჯერ მოსამსახურეებმა არც კი ვიცოდით, არსებობდა თუ არა ის. ეს სალათას ძილს მიცემული ადგილკომი თუ გამოიღვიძებდა მაშინაც კომიჩეიკას საკმენათ. ახლა ამას ბოლო მოეღო. ამას წინათ მოხდა ადგილკომის წევრთა გადარჩევა. ადგილკომში არჩეულ იქნენ კომიჩეიკას წევრები.

უკვე დაიწყო ენერგიული მუშაობა. დაარსდა ურთიერთ დამხმარე კასა კავშირთან, მოწესრიგდა ჯამაგირის თავის დროზე მიღების საქმე, დაიდვა ახალი კოლექტიური ხელშეკრულება. სწარმოებს ენერგიული მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. ვუსურვებთ ახალ ადგილკომს კიდევ მეტ ენერგიის გამოჩენას და თავის მუშაობის გაფართოებას.

მოსამსახურე.

ლენინის სახელობის საბავშვო სახლი.

ამ საბავშვო სახლში ცხოვრობენ უმთავრესად ვოლგის მხარის დამშეულთა ბავშვები. ბავშვები მოზრდილებია 12 წლიდან 16 წლამდი და მათი საერთო რიცხვი აღწევს 165. სახლი ძლიან მოუწყობელი და მოუვლელია. არ არის დაცული არც სანიტარული წესები. კულტმუშაობაც სუსტია. ბავშვები მოკლებულნი არიან საკითხავ წიგნებს. სახლი იმყოფება სახგანკომის გამგებლობაში. სახლს ეხმარება „ვრუზჩიკაც". სასურველია ამ საბავშვო სახლს მეტი ყურადღება მიექცეოდეს. ბავშვები ისეთ ასაკში იმყოფებიან, რომ მათ დიდი მოვლა და მზრუნველობა სჭირიათ. მათ მხოლოდ ახლა შეუძლიათ შეიძინონ განვითარება, ახლა მუშავდება მათი ხასიათი. ამიტომ მეტი ყურადღება მათ ვისგანაც ჯერ არს.

დამსწრე.

სპილენძის ჩამოსასხმელი ქარხანა

ამ ქარხნის ისტორია მრავალ მხრივ არის საყურადღებო. საქართველოს მრეწველობის აღორძინებისათვის ამ ქარხნის დიდ მნიშვნელობას რომ თავი დავანებოთ, საყურადღებოა თვით მუშების მონაწილეობა მის აღდგენაში. თუ არა მუშების თავდადებული ერთგულება და თანაგრძნობა, ისე საბჭოთა ხელისუფლება ამ ქარხნის აღდგენას ვერ შესძლებდა. 15 მუშამ პირდაპირ საარაკო ენერგია გამოიჩინა. ისინი ღირსნი არიან შრომის ფრონტის წითელ დაფაზე აღნიშვნისა. საქმე შემდეგშია: ქარხანას სჭირდებოდა დიდი საორთქლე მანქანა. ადგილობრივათ მისი გაკეთება შეუძლებელი იყო. შეუკვეთეს საზღვარგარეთ, მაგრამ დროზე მისი მიღების იმედი ცოტა იყო. დარჩა ერთი გამოსავალი გზა. ასეთი მანქანა აღმოჩნდა ბორჩალოს მაზრაში სოფელ ახკეპის მახლობლათ. საქმე ახლა ჩამოტანაა. 15 მუშამ ამხ გრონის ხელმძღვანელობით თავს იდვა ეს საქმე. გაემგზავრენ ადგილას. მთაკლდიანი ადგილია. გზები არ ვარგა. რკინის გზის ხაზი სადახლოს 15 ვერსითაა დაცილებული. თითქმის შეუძლებელი იყო მისი ასეთ მთაკლდეებიდან გამოტანა. მაგრამ მუშების საარაკო გმირობამ და თავდადებამ ყველაფერი შესძლო. ძნელათ აიწერება ის გაჭირვება და დაბრკოლება, რომელიც მუშებმა აქ ნახეს—ზოგჯერ მათ საკვებიც კი არ ქონდათ. მუშაობდენ დღე და ღამის განმავლობაში, მუშაობდენ ღია ცის ქვეშ, მუშაობდენ ტყეში. აქვე იწვენ, აქვე ეძინათ. მუშაობდენ მალიარიან და ჭამობიან ადგილას. დაიმარიეს ტანკი და ბოლოს მიზანს მიაღწიეს. ეს დიდი ვეებერთელა მანქანა ტფილისში ჩამოიტანეს. ამ მანქანის წყალობით ზემოთ ნახსენები ქარხანა უკვე ამუშავდა. სასურველია ამ გმირ 15 მუშის საპატივსაცემლათ გაიმართებოდეს დიდი სადღესასწაულო საღამო ან დილა. სასურველია მათი თავდადება და საარაკო ენერგია ყველამ გაიგოს.

მახლობელი.

ოსმ. ოქრ. ლ.— 515—525 პასტ.
530 540 პ.
ოქროს 10 მან.—640-650 პასტ
640 650 პ.
20 ფრანკი — 210-220 პასტ.
210-220 პ.
20 იტ. ლირა—130—140 პასტ.
130-140 პ.

სოხუმის ბირჟა

სოხუმი. 3 ოქტ. ოქროს ათ მანეთიანი 1,120 ათასი ქართულ ბონებით; ოსმალური ქაღალ. ლირა—158 ათასი მანეთი.

ბერლინის ბირჟა

ბერლინი. 10 ოქტ. გირ. სტერლინგი—13.0,83; დოლარი — 2966,28. გოლანდიური გულდენი—115058,00.

პარიზის ბირჟა

პარიზი 10 ოქტ. ლონდონი—58,765; ნიუ-იორკი—13,2850; გერმანია—0,45; ბელგია—92,70; ისპანია — 201,75; გოლანდია—56,50; იტალია—56,50.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი 10 ოქტ. პარიზი-58,87; ნიუიორკი 4,425; ბრიუსელი—63,72; ჟენევა—23,62; ამსტერდამი—11,36 მილანი — 103,0 7/8; ბერლინი—13500,00; სტოკგოლმი—16,65; კოპენჰაგენი—21,8; ქრისტიანია—24,9; ვენა—330,000; პრაგა—126,000; ჰელსინგფორსი 196,00; მადრიდი—29,06; ლისაბონი—238; რიო დე ჟანეირო—65,16.

საფრახტო განაკვეთი

ბათომი. 10 ოქტ. ბათომ სტამბოლს შუა—საფრახტო განაკვეთი პირველ ოქტომბრისათვის:

აბრეშუმი—700 ოსმ. ქაღ. ლირა—ერთი ტონა.
თამბაქო—700 ოსმ. ქაღ. ლირა—ერთი ტონა.
სპილენძი—200 ოსმ. ქაღ. ლირა—ერთი ტონა.
დანარჩენი საქონელი—500 ოსმ. ქაღ. ლირა—ერთი ტონა.

ტფილისის ბაზარი

ტფილისი. 10 ოქტომბ. ამერიკულ ფქვილზე ფასები დაეცა. ურყევ მდგომარეობაში იმყოფება ფასები „ზნელსონ"-ის ფქვილზე. დაიწია ფასი რუსეთის ფქვილზე. ფასების აწევა ეჩნევა სიმინდს და ქერს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 55

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოსი

დაქირავებულ მომუშავე პირთა დასაზღვევათ დამზღვევ ორგანოებში შესატან საპროცენტო ანარიცხის გადიდების შესახებ—უმუშევართა სამკურნალო-სამედიცინო და მატერიალური დახმარებისათვის.

უმუშევართა სამკურნალო სამედიცინო და მატერიალური დახმარების წესიერი წარმოებისათვის და დამზღვევ ფონდში 10 პროც. ანარიცხის შეტანის თაობაზე 23 და 24 №-რით გამოცემულ დადგენილებათა დამატებად, საქართველოს სოც. საბჭ რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენ:

1. უმუშევართა უზრუნველსაყოფად 10 პროც. ანარიცხს დამატებით დაერთოს კიდევ 2 პროც.-ტი და ამის მიხედვით დამზღვევ ფონდისათვის ამა 1922 წლის სექტემბრის 1 დან დაწესდეს 12 პროც. ანარიცხი.
2. გამოანგარიშება და წესი საპროცენტო ანარიცხის გადახდევინებისა შეფარდებულ იქნება 23 და 24 № ს დადგენილებასთან

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**
შრომის სახ. კომ. **ა. იაშვილი.**
სახ. კომ საბჭ. მდივ. **ა. ხალარიძე.**
1922 წ. ოქტ. 8
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს პოლიტწრეების ყველა ხელმძღვანელებს გატარდენ რეგისტრაციაში და ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინონ ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებას ანგარიში თავიანთ მუშაობის შესახებ.

(3—3) საგიტ-საპროპაგ. განყოფილების გამგე **მ. ესსენი.**

პარასკევს 13 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია **სახელმწიფო უნივერსიტეტის იაჩეიკის გაწმენდა.** იაჩეიკის ყველა წევრებს წინადადება ეძლევათ მოაწესრიგონ პირადი საქმეები (ანკეტა, ავტობიოგრაფიები და რეკომენდაციები)

(3—3) იაჩეიკის მდივანი **შუშანია**

საქართველოს კომპარტიის ხელახალი რეგისტრაციის, დათვალიერების და გაწმენდის ცენტრალური კომისია აცხადებს, რომ გაწმენდის ინსტრუქციის თანახმად, ცენტრალურ შემმოწმებელი კომისიის წევრებს უფლება არა აქვთ ხელი მოაწერონ იმ ამხანაგების რეკომენდაციაზე და ავტობიოგრაფიაზე, რომლებიც ტარდებიან გაწმენდაში, რისთვისაც კომისია სთხოვს ასეთი თხოვნით არ მიმართონ აღნიშნული კომისიის წევრებს.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე: **გორობჩენკო.**
(2—1)

თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ ის ამხანაგები, რომლებმაც გამოცდები ვერ ჩააბარეს სახელმწიფო პოლიტ. ინსტიტუტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის პირველ ჯგუფში, ჩარიცხული არიან ამავე ფაკულტეტის მოსამზადებელ ჯგუფებში. უკანასკნელი მისაღები გამოცდა მოხდება ხუთშაბათს 12 საათზე მე 20 ე ტექნიკუმის შენობაში (ყოფ. მესამე ქალთა გიმნაზია) ბებუთოვის ქუჩა № 26. გამოცდები დაიწყო და გაგრძელდება ყოველ დღიურად 4 ნახევრიდან 8 ნახ. საღამოს.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: **ესსენი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცნობებს ამხანაგებს, რომ 14 ოქტომბრიდან დაიწყება მუშაობა სამ საშუალო ტიპის მარქსისტულ წრეში, პოლიტიკური ხელმძღვანელების და ორგანიზატორების მოსამზადებლად. ერთი წრე იქნება ქართულ ენაზე, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. თალაკვაძე და ორი კი რუსულ ენაზე ხელმძღვანელები არიან: ამხ ნოვიკოვი და ა. ესსენი. ამხანაგებმა, რომელთაც სურთ ერთ-ერთ აღნიშნულ წრეში შესვლა უნდა გატარდენ რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში—13 ოქტომბერამდე. წრეში შესვლისათვის საჭიროა ცოდნა რაიონულ პარტსკოლის ან პოლიტიკური წრეების ფარგლებში.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ესსენი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს 13 ოქტომბერს ერთიან პარტიულ დღეს დაისვას დღის წესრიგში „სრ. რუსეთის პროფკავშირთა მე 5 ე ყრილობის შედეგები". ინსტრუქტორებს ვსთხოვთ დაესწრონ ამხ. განსმურგის მოხსენებას ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში.

(1—1) ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში ამხ. განსმურგი გააკეთებს საინსტრუქციო ხასიათის მოხსენებას ყველა პასუხისმგებელ და მიმაგრებულ ამხანაგებისათვის „პროფკავშირთა მე 5 ყრილობის შესახებ".

ტფილისის კომიტეტის საგიტ. საპროპაგანდო განყოფილების
გამგე **მ. ესსენი.**

ყველა რაიკომებს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი იწყებს საორგანიზაციო წრეების ორგანიზაციას, რომლის მიზანია ორგანიზატორების კადრის და კომიჩეიკების მდივნების მომზადება. წრე ნავარაუდევია 20 კაცისათვის, მეცადინეობა იწარმოებს კვირაობით (ერთხელ კვირაში). რაიკომები ვალდებულნი არიან სასწრაფოდ მოახდინონ იმ ამხანაგების სათანადო რიცხვის მობილიზაცია, რომელთაც იციან ქართული ენა, თანახმად შემდეგი განაწილებისა: 1 რაიონმა—4 ამხანაგი, 2 რაიონმა—4 ამხანაგი, 3 რაიონმა—4 ამხანაგი 4 რაიონმა—2 ამხანაგი ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ—2, კომ. ახალგ. კავშირის ტფილისის კომიტეტმა—2.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**
საორგანიზაციო განყოფ. გამგე **რუბენი.**

განცხადებები

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხისგებაში. (0—36

სახელმწიფო ოპერის თეატრი

სეზონის გახსნა

კვირას, 15 ოქტომბერს

„აბესალომ და ეთერი"

მუსიკა ზ. ფალიაშვილისა.
სამშაბათს, 17 ოქტომბერს 1922 წ.

„კარმენი"

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11—3 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე (385—1—1)

კვირას, 15 ოქტომბერს დილის 10 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია ქალ. აღმასრულებელ კომიტეტის მუშა მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) ანგარიში გამგეობის 1921 წ მოქმედების შესახებ და მოხსენება სარევიზიო კომისიის, 2) მოკლე მიმოხილვა გამგეობის 1922 წ. მოქმედების შესახებ, 3) ეკონომიურ საზოგადოების შეერთება, მთლიან მუშათა კოოპერატივთან, 4) არჩევნები, 5) მიმდინარე კითხვები.

თუ დანიშნულ დროს არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი რწმუნებულებისა, 11 საათზე ინიშნება განმეორებითი კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ.

წევრებს გთხოვთ იქონიოთ საწევრო წიგნაკები.

(509—2—1) **გამგეობა.**

თბილისის ქალაქის აღმასკომის
გადასახადთა

ბიურო

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 12 ამა ოქტომბერს დღითი 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მუდმივი სადგომი ეზოზე (ბაკზე) მდებარე კახ. ქ. № 58—59.

კანდიციის გაგება შეიძლება ოთახი № 50 საჯარო მაგიდის გამგესთან. (კრ. 280—5—5)

ქალაქის აღმასკომის საადგილ-მამულო

განყოფილება

აცხადებს

ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ის ბაღ-ბოსტნები, რომელთაც **საიჯარო გადასახადი** შემოტანილი არ ექნება საადგილ-მამულო განყოფილებაში (ოთახი № 52) ა. | წ. 15 ოქტომბრამდე ჩამოერთმევათ დღევანდელ მათ მფლობელთ და გადაეცემა სხვაზე იჯარით. (კრ. 5—3—3)

საბჭოთა საქართველოს უმაღლეს ცენტრალური საბჭოს
სატრტო განყოფილება აცნობებს მოქალაქეებს, რომ

14 ოქტომბერს მცხეთის სობორში

მცხეთობის დღესასწაულის

გამო 13 ოქტომბერს, საღამოს 4 საათიდან დანიშნული იქნება

ავტომობილები მგზავრების და ტვირთების გადასაზიდათ თბილისიდან მცხეთამდე. უკან დაბრუნებით.

ავტომობილები მიდის ერევნის მოედნიდან, შეჩერდება ყოფ. ზემელის აფთიაქთან. ფასი მგზავრებზე—100.000 მანეთი ერთი მგზავრობისათვის, ავტომობილები დაინიშნება აგრეთვე სად. მცხეთიდან სობორომდე დაბრუნებით. ფასი თვითეულ მგზავრზე—50.000 მ. ერთი მგზავრობისათვის.

ცენტრალურ სატრანსპორტო საზოგად. საექსპლოატაციო განყოფილება.
კრ. 387—21

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალური სატრანსპორტო განყოფილება

ამით აცნობებს მოქალაქეებს, რომ ჯირითის დღეებში დღის 2 საათიდან ჯირითის გათავებამდე

დაინიშნება ავტომობილები

ერევნის მოედნიდან იპოდრომამდე მგზავრების გადასაყვანად. ავტომობილები შეჩერდება ვერის დაღმართზე და კიროჩნი ქუჩის და მიხაილოვის პროსპექტის კუთხეში. ფასი თვითეულ მგზავრისათვის—30,000 მან.

ცენტრალურ სატრანსპორტო საზოგადოების საექსპლოატაციო განყოფილება.
კრ. 387 3—1

სად. ტფილისიდან ქალაქის ფარგლებში ტვირთების გადასაზიდვის

ნიხრი

1.	საბარგო სადგურიდან დიდუბის, დეზერტირის ბაზარის და ვაგზლის რაიონი	6.000	მ. ფ.
2.	კირკის ქუჩაზე	6.000	„
3.	ვორონცოვის ხიდი	8 000	„
4.	რიყე და სალდათის ბაზარი	9.000	„
5.	თათრის მოედანი და ერევნის მოედანი	10.000	„
6.	ორთაჭალა	13.000	„
7.	ოლღას, წყნეთის და რუსთაველის ქ.	10.000	„
8.	მთაწმინდის (კომჯ. ც. კ. ზემო რაიონ.)	12 000	„
9.	საბურთალო, ვაკე, ნავთლუღი	13.000	„
10.	ავლაბარი არამიანცის საავადმყოფო	13.000	„
11.	ნამალადევი ქვემო	9.000	„
12.	„ ზემო	10.000	„

შენიშვნა: ღვინო, ზეთი და სხვა სითხეები 2.000 მანეთით მეტი ფუთზე. შინაური ნივთები, ცალიერი ბოჩკები, მჩატე და მძიმე ტვირთები შეთანხმებით.

სახალხო მეურნეობის უმ ღლ. საბჭოს თავმჯდომარე **გ. ავაქოვი.**
ცენტრ. სატრ განყოფ კოლეგიის თავმჯდომარე **გ. ფიცხელაური.**
საექსპლოატაციო განყოფილების გამგე **სოლოღაშვილი.**
(კრ. 387 2—1)

სად. ნავთლუღიდან ქ. თბილისის ფარგლებში ტვირთების გადაზიდვის

ნიხრი

1.	ნავთლუღის რაიონი არამიანცის საავადმ.	6.000	მ. ფ.
2.	კახეთის მოედანი	8.000	„ „
3.	ორთაჭალა შეკეთებულ ხიდამდე	12.000	„ „
4.	მოედანი	10.000	„ „
5.	სალდათის ბაზარი და ერევნის მოედანი	12.000	„ „
6.	რიყე	9.000	„ „
7.	ვორონცოვის ხიდი	12.000	„ „
8.	ოლღას ქ., წყნეთის, რუსთაველის პრ.	15.000	„ „
9.	საბურთალო—ვაკე	20.000	„ „

შენიშვნა: ღვინო ზეთი და სხვა სითხეები 2000 მანეთით მეტი ფუთზე. შინაური ნივთები, ცალიერი ბოჩკები მჩატე და მძიმე ტვირთები შეთანხმებით რესით.

სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე—**გ. ავაქოვი.**
ცენტრ. სატრანსპ. განყოფ. კოლეგიის თავმჯდომარე—**ფიცხელაური.**
საექსპლოატაციო განყოფილების გამგე—**სოლოღაშვილი.**
კრ. 387 2—1.

დავკარგე თბილისის რკინის გზის სადგურში პირადობის მოწმობა და სხვა საჭირო ქაღალდები გაუქმებულად ჩაითვალოს. ნიკოლოზ იოსების ძე ჭრელაშვილი. (408—1—1)

დავკარგე მოწმობა ლაშე ლევრკის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის დამთავრების შესახებ № 58, რომელიც გაცემული იყო ანნა კამკამიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა თანაშემწე მე-10 სამილიციო რაიონის უფროსის ნიკოლოზ ქობულაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (409—1—1)

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული საქართველოს პროფესიონალური კავშირიდან, მანდატი მიღებული დუშეთის სამაზრო კომიტეტიდან № 5, საქართველოს კომუნისტური პარტიისა, მანდატი მიღებული დუშეთის პროფბიუროდან № 365 ყველა ეს დოკუმენტი არის ალექსანდრე კენკიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (410—1—1)

ტირაჟი 16.000 [illegible]

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-3 სტამბა, კონსტანტინეს ქ. № 6.